პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 92 (20482) — ოთხშაბათი, 19 აპრილი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

ნაბდვილად ეტკიცე, ვაჟკაცური ნებისყოფით

საგბოლთა საქართველოს მშრომელებმა უდიდესი გულისყურით აღიქვეს და საბრძოლო პროგრამად გაიხადეს რესპუბლიკის კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი, ახალგაზრდობისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, რომელშიც ნათლად გამოიკვეთა შექმნილი პოლიტიკური ვითარების სიმძაფრე და უპირველესი სამოქმედო ტაქტიკა, რომ ყველაფერი ვიღონოთ ვითარების ნორმალიზაციისათვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის აღდგენისათვის. ბუნებრივია, ამ საკითხებზე გამახვილდა ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. პ. რაზუმოვსკის შეხვედრებზე რესპუბლიკის საწარმოთა შრომით კოლექტივებთან, მეცნიერების, კულტურის, უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებთან, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. საქართველოსათვის ამ ტრაგიკულ დღეებში სწორედ ის იქნებს უდიდეს მნიშვნელობას, თუ რამდენად სწრაფად მოვიკრებთ გონიერებას, რამდენად სწრაფად დავუბრუნდებით ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

ეს საჭიროა ჩვენი დღევანდელობისა და ხვალისათვის.

კონკრეტულად თუ განვსჯით, ეს საჭიროა იმისათვის, რომ დამშვიდებულ ვითარებაში შევისწავლოთ და გავაანალიზოთ 9 აპრილის ტრაგედიის ყველა გარემოება და დეტალი, რათა თითოეულს მიეზღოს საკადრისად, რაიმე შეღავათების გარეშე.

ეს საჭიროა რესპუბლიკის ახალგაზრდობისა და ყველა მშრომელისათვის. ჩვენ ისედაც აუნაზღაურებელი ფიზიკური და სულიერი ტრავმა მივიღეთ და ახლა პირიქით გვჭირდება განმუხტვა, სულის მობრუნება, ყველაფრის დადინჯებული განსჯა.

როგორც ყოველთვის, ამ მხრივაც სანიმუშო მაგალითის გვიჩვენებენ ჩვენი სახელოვანი შრომითი კოლექტივები, გვაიმედებს ის საერთო ატმოსფეროც, რომელიც თბილისსა და მთელ რესპუბლიკაში მყარდება ამ უაღრესად ძნელ დღეებში.

მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად დიდნაყოფიერად შრომობს რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის ყველა საამქრო. რესპუბლიკის მრეწველობის ფლაგმანის მრავალათასიანი კოლექტივი შეაძრწუნა მომხდარმა ამბავმა, მაგრამ ვერ გატეხა მისი მუშური ნებისყოფა. დაძაბულ დღეებში აქ ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა საწარმოო პროცესი, პირიქით, მუშებმა შეძლეს სიტყვითა და საქმით დარწმუნებინათ ახალგაზრდობის ნაწილი, რომ ახლა განდგომა კი არ არის საჭირო, არამედ თანადგომა და ერთიანობა, ჭრილობების ერთობლივი ძალით მოშუშება. და საერთოდ ყველაფერი ის, რაც კეთდება ბოლო დროს მეტალურგიულ ქარხანაში წარსულში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად, მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პირველ ნაბიჯებთან. აქ გაბედულად იკიდებს ფეხს მეურნეობრიობის მოწინავე ფორმები, ინერგება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, იზრდება შრომის ნაყოფიერება, საქმიანი კონტაქტები მყარდება საზღვარგარეთის პარტნიორებთანაც კი, მატულობს შრომის ანაზღაურება, პოულობენ მუშებისა და მოსამსახურეების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების არასტანდარტულ გზებსა და საშუალებებს.

საქმისადმი სწორედ ამგვარი მიდგომა გახლავთ გარდაქმნის იდეებისადმი პრაქტიკული მხარდაჭერა, რაც იმის წინაპირობაა, რომ უკეთესი შრომის შედეგად ვიცხოვრებთ უკეთესად, დავძლევთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სიძნელეებს, გავაუჯობესებთ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, გავაძლიერებთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას, თითოეულ მშრომელს ღრმად ჩავუნერგავთ საწარმოს ბატონპატრონის გრძნობას, უფრო გაბედულად და საფუძვლიანად დავსვამთ და გადავჭრით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან და ეროვნულ ყოფასთან დაკავშირებულ საარსებო პრობლემებს.

აღმავლობა იგრძნობა თბილისის ტრიკოტაჟის გაერთიანება „გლდანში“. მთელი კოლექტივი დადგა დაზგებთან, მუშაობდნენ შეთანხმებულად, რათა აენაზღაურებინათ დავალებათა შესრულებაში წარმოშობილი გარღვევა, ორ დღეში გამოუშვათ თითქმის 800 ათასი მანეთის პროდუქცია. გამომგრილთა ბრიგადირმა ასმათ ქოქრაშვილმა კარგად გამოხატა თანამოაქმეთა განწყობილება. — ჩვენ, მუშა ქალები, — თქვა მან, — მოვალენი ვართ მაგალითი ვუჩვენოთ ახალგაზრდობას. ჩვენ შეგვიძლია მოვსპოთ რესპუბლიკის დედაქალაქში შექმნილი დაძაბულობა და ჩვეული სახე დავუბრუნოთ მას. გუშინაც აქ ჩვეულებრივი შრომითი რიტმი იყო, ადამიანები დიდი გაგებით ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ კოლექტივი ერთხმულოვნად დადგა შრომითს ვახტზე კვირას, ჩვეულებრივ დასვენების დღეს. ორშაბათიდან კი ახალი ძალით გაჩაღდა შრომა. მეინსტრუმენტე ანზორ გრატიაშვილმა თქვა: სამართლეს თვალებში უნდა შეეხედოთ, განვლილ დღეებში ჩვენი მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების გარკვეული ნაწილი არ გამოვიდა სამუშაოზე, მაგრამ საღმა აზრმა გაიმარჯვა. მალე ადამიანებმა შეიგნეს ძთელი პასუხისმგებლობა სიმართლისათვის, რესპუბლიკის მომავლისათვის. საერთო-საქართველო მიტინგზე გადაწყვეტეთ სამთა ვუპასუხოთ საქართველოს კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი მ. ს. გორბაჩოვის მიმართვას და დასვენების დღეები დამკვრელური შრომის დღეებად გამოვაცხადეთ. ბოლო ოთხი დღის შედეგები მოწმობს, რომ „საქელექტრომანქანის“ კოლექტივმა გაამართლა ნათქვამი ნიკუყვა, სახელმწიფომ მიიღო მრავალი ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

სწორედ ამგვარი განწყობილებითა და შემართებით სუნთქავს ამ მძიმე დღეებში ჩვენი სოფელი და ქალაქი, მთლიანად საქართველო. ქარხნებსა და ფაბრიკებში, ორგანიზაციებში იმართება პარტიული კრებები, შეხვედრები პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებთან. მშრომელები იწონებენ მდგომარეობის სტაბილიზაციის ღონისძიებებს, აქტიურად მონაწილეობენ მათში. როგორც ვნახეთ, თბილისის საწარმოთა მშრომელები მუშაობდნენ გახსულ შაბათსა და კვირასაც, კი, რომ ადმოეფხვრათ ჩამორჩენა გეგმების შესრულებაში. განსაკუთრებული მონდომებით დაიწყეს ახალი კვირა დედაქალაქის საწარმოებმა და დაწესებულებებმა. სოფლის რაიონებში გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. ყველა ცდილობს თითოეული დღისა და საათის მაქსიმალური უკუგებით გამოყენებას. სამართალდაცვის ორგანოებთან საზოგადოებრიობის აქტიური თანამშრომლობით თანდათან მყარდება მშვიდი ვითარება. საჭიროა კიდევ უფრო გააქტიურდეს ორგანიზატორული და ახსნა-განმარტებითი მუშაობა შრომითს კოლექტივებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დღეს თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი ვალია გულთან ახლოს მიიტანოს საერთო გასაჭირი და სატკივარი, გამონახოს თავისი ადგილი საყოველთაო-სახალხო შრომისა და ბრძოლის ფერხულში, რაც შეიძლება მეტი პირადი წვლილი შეიტანოს ვითარების სრულ ნორმალიზაციაში.

ყოველივე ეს ცარიელი მოწოდება და სურვილი კი არა, არამედ საზოგადოებრიობის მიხვრა-ფება და რეალურად გადადგმული ნაბიჯებია, რომლებსაც კონკრეტული შედეგები მოჰყვა ვითარების ნორმალიზაციის თვალსაზრისით. ამის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით ქალაქ თბილისში შემოღებული კომენდანტის საათი გაუქმდა 1989 წლის 18 აპრილის 5 საათიდან. გუშინ სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა ჩვენი საყვარელი ქალაქი, მოედნებიდან და ქუჩებიდან გაქრა ტანკები და საბრძოლო ტექნიკა, შეიცვალა ადამიანთა გუნება-განწყობილება, კიდევ უფრო გამართულად მუშაობდნენ საწარმოები და დაწესებულებები, სასწავლებლები. მართალია, მაგ, რაც მოხდა, ადამიანთა ხსოვნიდან ვერ წაშლი, მაგრამ როგორც თბილისის მოქალაქეებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიმართვაშია აღნიშნული, ხსოვნა გონებით ამოწმებს ვრძნობებს და იგი პასუხისმგებლობისაკენ მოგვიწოდებს. ახლა, როგორც არასოდეს, ხვალინდელი დღის, მომავლის ბედი დამოკიდებულია ჩვენს დარაზმულობასა და დისციპლინაზე.

მივმართავთ ჩვენს მუშათა კლასს და კოლმეურნე გლეხობას, რომ გამოიჩინონ ჩვეული სიდინჯე და თავდაჭერილობა, ერთსულოვნად დადგნენ შრომითს ვახტზე საკოლმეურნეო მინდვრებსა და დაზგებთან, დაძლიონ ჩამორჩენა და უზრუნველყონ საგეგმო დავალებათა უთუოდ შესრულება, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე განამტკიცონ მშობლიური რესპუბლიკის ეკონომიკური ძლიერება, რაც შემდგომში წინსვლის, თვითმმართველობის დამკვიდრების, ეკონომიკური დამოუკიდებლობის რეალური მოპოვების აუცილებელი წინაპირობაა.

მივმართავთ ჩვენს მწერლებსა და მეცნიერებს, კულტურის დარგის მუშაკებს, რომ ეხოდენ ძნიმე დღეებში კვლავაც იყვნენ თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი რესპუბლიკაში მდგომარეობის სტაბილიზაციას.

მივმართავთ ჩვენს მოსწავლეებსა და სტუდენტებს, ახალგაზრდობას, ქვეყნის იმედსა და მომავალს მიუსხდნენ მერხებს სკოლებსა და სასწავლო აუდიტორიებში, უკლებლივ გამოცხადდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებზე, ყოველთვის კარგად ახსოვდეთ, რომ ჩვენს დედასაქართველოს დღეს განსაკუთრებით სჭირდება მათი გონი და მოუღლელი მარჯვენა, მათი შემართება და ცოდნა, მათი სიკეთე და სიბრძნე.

სწორედ დღეს მოგვეთხოვება განსაკუთრებული გონიერება და წინდახედულება, ვითარების ნორმალიზაციის მყარი ტენდენციების ყოველმხრივ განმტკიცება. პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ყველა კომუნისტისა და მშრომელის წმიდათაწმიდა მოვალეობა ისაა, რომ ხელი შეუწყოს მთელი ძალების კონსოლიდაციას, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას, ეროვნულ ღირსებათა შეუბღალავად დაცვას!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

მოსახლეობის გადასახადების გამო შეღავათების მონესრიგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება. მოსახლეობის გადასახადების გამო შეღავათების მოწესრიგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო **ადგენს:**

1. გაუქმდეს 1990 წლის 1 იანვრიდან შემდეგი შეღავათები საშემოსავლო გადასახადის გამო:

ა) ხელფასიდან და სხვა საზღაურიდან, რომლებიც მიიღეს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე გაგზავნილმა მუშებმა, მოსამსახურეებმა, სტუდენტებმა, მოსწავლეებმა და სხვა მოქალაქეებმა ამ სამუშაოთა შესრულებისათვის;

ბ) კოლმეურნეობებში, არჩევითის თანამდებობებზე მყოფ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა განთავისუფლებულ მუშაკთა ხელფასიდან;

გ) იმ საწარმოთა და ორგანიზაციათაგან მოეწოვი მონდირეების მიერ მიღებული ხელფასიდან და სხვა საზღაურიდან, რომელთა შტატშიც ისინი არიან;

დ) შემოსავლიდან, რომელიც მოქალაქეებმა მიიღეს თხუნელის, აგრეთვე თრიის, ზაზუნისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების სხვა მავნებელი მღრღნელების ტკაცის ჩაბარების შედეგად;

ე) ლატარიის ბილეთების მიტანისა და გავრცელებისათვის მიღებული გასამჯელოდან;

ვ) შემოსავლიდან, რომელიც მიიღეს უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და ამ რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში მუდმივად მცხოვრებმა მოქალაქეებმა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისაგან;

ზ) ოქროს, პლატინის, კალის, ვოლფრამის, მოლიბდენისა და იშვიათი ლითონების საბადოთა აღმოჩენისათვის გადახდილი პრემიებიდან;

თ) ოქროს მაძიებელთა არტელების წევრთა შემოსავლიდან.

2. შენარჩუნებულ იქნეს მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის და უცოლშვილოთა, მარტოხელა და მცირეოჯახიანი მოქალაქეების გადასახადის შეღავათები, რომელიც წინათ დადგენილი იყო სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს: „მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას „დაუქვემდებარებელ მოქალაქეთა შემოსავლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 29 სექტემბრის № 954 დადგენილების 1 პუნქტის მე-3, მე-4, მე-6, მე-9-13 (სსრ კავშირის დადგენილებათა კრებული, 1983 წ, № 29, მუხლი 165); სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 22 აგვისტოს № 1804 განკარგულება;

„ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით დასაქმებულ პირთაგან სახელმწიფო ბაჟისა და გადასახადების გადახდასთან დაკავშირებულ საკითხთა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 აპრილის № 466 დადგენილების მეორე პუნქტი სსრ კავშირის დადგენილებათა კრებული, 1987 წ. № 28, მუხლი 100).

პროექტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

იმ მუშებისათვის, მოსამსახურეებისა და დაბეგვრით მათთან გათანაბრებული მოქალაქეებისათვის საშემოსავლო გადასახადისა და სსრ კავშირის უცოლშვილოთა, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის შემცირებული განაკვეთების დამტკიცების შესახებ, რომლებიც ხელფასს იღებენ თვეში 81-დან 100 მანეთამდე

„მოსახლეობის გადასახადით დაბეგვრის წესისა და ოდენობის შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

იმ მუშებისათვის, მოსამსახურეებისა და დაბეგვრით მათთან გათანაბრებული მოქალაქეებისათვის დამტკიცდეს საშემოსავლო გადასახადისა და სსრ კავშირის უცოლშვილოთა, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის განაკვეთები, რომლებიც ძირითად სამუშაო ადგილას იღებენ ხელფასს თვეში 81-დან 100 მანეთამდე, დანართით გათვალისწინებული ოდენობით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
დადგენილების **დანართი**

იმ მუშებისათვის, მოსამსახურეებისა და დაბეგვრით მათთან გათანაბრებული მოქალაქეებისათვის საშემოსავლო გადასახადისა და სსრ კავშირის უცოლშვილოთა, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის განაკვეთები, რომლებიც ძირითად სამუშაო ადგილას იღებენ ხელფასს თვეში 81-დან 100 მანეთამდე

თვიური ხელფასი მანეთობით	თვიური თანხა: საშემოსავლო გადასახადისა ქმაყოფაზე მყოფთა ოჯახთა გარეშე (მან. კაპ.)	თვიური თანხა: სსრ კავშირის უცოლშვილოთა, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადისა (მან. კაპ.)	თვიური ხელფასი მანეთობით	თვიური თანხა: საშემოსავლო გადასახადისა ქმაყოფაზე მყოფთა ოჯახთა გარეშე (მან. კაპ.)	თვიური თანხა: სსრ კავშირის უცოლშვილოთა, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადისა (მან. კაპ.)
81	0—41	0—11	91	4—51	3—21
82	0—82	0—42	92	4—92	3—52
83	1—23	0—73	93	5—33	3—83
84	1—64	1—04	94	5—74	4—14
85	2—05	1—35	95	6—15	4—45
86	2—46	1—66	96	6—56	4—76
87	2—87	1—97	97	6—97	5—07
88	3—28	2—28	98	7—38	5—38
89	3—69	2—59	99	7—79	5—69
90	4—10	2—89	100	8—20	6—00

ცნობები ორბიტიდან

ფრენის მართვის ცენტრი, 18 აპრილი. (საკდესი). „მირ“ ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟის მორიგი სამუშაო დღე დაიწყო სამედიცინო გამოკვლევებით, რომლებიც დედამიწაზე დასაბრუნებლად მომზადების გეგმის შესაბამისად ეწყობა.

დღეს ალექსანდრე ვოლკოვი, სერგი კრიკალიოვი და ვალერი პოლიაკოვი შეასრულებენ სადგურის საბორტო სისტემებისა და მოწყობილობის სარეგლამენტო პროფილაქტიკურ მომსახურებას არსებული სახარჯი მასალების გათვალისწინებით. უნდა მოეწყოს აგრეთვე გეოფიზიკური ექსპერიმენტები და ორსაათიანი ფიზიკური ვარჯიში.

„პროგრეს-41“ სატვირთო ხომალდთან დაკავშირებულ სამუშაოთა გრაფიკით ეწყობა საბაზო ბლოკის სათბობის ტევადობათა გამეძანგავთ შევსება.

ფრენის მართვის ცენტრი კვლავ კონტროლს უწევს „სალუტ-7“ ორბიტული სადგურის ფრენას, რომელიც შვიდი წელია ფუნქციონირებს დედამიწისგარეშე კოსმოსურ სივრცეში. 1986 წლის აგვისტოში იგი უფრო მაღალ ორბიტაზე გადაიყვანეს სარესურსო გამოცდების მოსაწყობად. ტელემეტრულ ინფორმაციას სადგურის საბორტო სისტემების მდგომარეობის შესახებ რეგულარულად იღებს ფრენის მართვის ცენტრი დამუშავებისა და ანალიზისათვის.

საგაზაფხულო მინდორი გვიხმობს

კოოპერატორები ხნავენ

ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის მეთესლეობის მეურნეობის ყველა სახნავი სავარგული — ეს კი ათას ჰექტარზე მეტია — იჯარით აიღეს მექანიზატორებმა, რომლებმაც გახსნეს კოოპერატივები „ფიჩორი“ და „ჯიხეთი“.

მიწათმოქმედებმა 400 ჰექტარზე უნდა მოიწონ სათესლე სიმინდი, ორას ჰექტარს დაიკავებს სამარცვლე სოია, ხოლო 300 ჰექტარს — მწვანე მასისათვის განკუთვნილი სოია.

სურათებზე: მექანიზატორები ზაურ კორძაძე და არსენ გოგუაძე; კოოპერატივ „ჯიხეთის“ თავმჯდომარე ვალერიან ხუხუნაშვილი, საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი ზურაბ ლომაძე და კოოპერატივ „ფიჩორის“ თავმჯდომარე კოკი თავდიშვილი საგაზაფხულო ხვნის დროს.

საქინფორმის ფოტო.

დავძლიოთ კრიზისი, აღვადგინოთ ნდობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესების გაძლიერება-გაღრმავების აქტუალური საკითხები განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, რომელიც გაიმართა 18 აპრილს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. გ. გუმბარიძის თავმჯდომარეობით.

აღინიშნა, რომ 9 აპრილის ტრაგიკულ ამბებში, მთელი სისრულით გამოვლინდა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც იზრდება რესპუბლიკაში ბოლო დროს. ეს დასკვნა ემყარება მუშათა კოლექტივების, შემოქმედი და მეცნიერი ინტელიგენციის, ახალგაზრდობის წარმომადგენლების, პარტიული მუშაკების შეფასებებს.

სხდომის მონაწილეებმა ძირითადი ყურადღება მიაპყრეს შექმნილი მდგომარეობის მიზეზებსა და ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზების ძიებას. მწვავე, უაღრესად გულსაზდილ საუბარში ჭარბობდა ნდობის თემა, რომელიც დაიკარგა და უნდა აღვადგინოთ. უნდა აღვადგინოთ ხალხისა და საზოგადოების ნდობა რესპუბლიკის ხელმძღვანელებისადმი, სხვადასხვა სოციალური ფენისა და ჯგუფისა ერთმანეთისადმი, ნდობა ადამიანებს შორის, რომლებიც საერთო, საყოველთაო-სახალხო საქმეს აკეთებენ.

საერთო დასკვნა გამოიტანეს იმის შესახებაც, რომ მრავალი პრინციპული საკითხის გამო აზრის დანაწევრებამ და პოლარიზაციამ აშკარა კონფრონტაციის ატმოსფერო წარმოქმნა, რაც იმის შედეგია, რომ უგულებელყოფილ დემოკრატიზაციის გზაზე დამდგარი საზოგადოებისთვის აუცილებელი სოციალურ-პოლიტიკური, საერთო-სახალხო დიალოგი, ხელმძღვანელთა გარკვეულმა ნაწილმა ამჯობინა თავად გასდგომოდა მას, და რესპუბლიკაში ეს დიალოგი გაიმართა არაფორმალურ ტრიბუნებზე.

წინაარმდეგობის, ნორმალური დემოკრატიული ურთიერთობის სასარგებლო გონივრული მოსაზრებების უკონლობის შედეგი გახდა ძალის აბსოლუტურად მიუღებელი არგუმენტი.

ამ ნაბიჯის გამართლების ხარისხი, მისი თანმდევი ექსცესების ხასიათი, კონკრეტული ორგანიზატორებისა და შემსრულებლების დანაშაულის დონე ჯერ კიდევ უნდა დადგინოს ობიექტურმა გამოძიებამ, ალბათ, საზოგადოებრიობის მონაწილეობით. მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ბევრ რამეში არაობიექტური ნდობა განსაზღვრა ინფორმაციის დეფიციტმა. განსაკუთრებით ეს ეხება უსანქციო მიტინგის აღკვეთისათვის 9 აპრილს გამოყენებულ მეთოდებსა და საშუალებებს. ამით მთელი რიგი უწყებების ხელმძღვანელებმა სერიოზული ზიანი მიაყენეს თვით საჯაროობის იდეას.

ადამიანებს, რომ სიმართლე ვუთხრათ, უნდა ვიცოდეთ იგი. უწყებრივი საიდუმლოების თაგვამოდებული დაცვის ანტიხალხური პრაქტიკის დაძლევის მთელი ქვეყნისათვის ერთიან ამოცანას ამასწინანდელი ტრაგიკული ამბების შემთხვევაში დაემატა ადამიანური ურთიერთობის დეფიციტის აღმოფხვრის აუცილებლობა, დეფიციტისა, რომელიც თანდათანობით წარმოიქმნა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში.

ხშირად სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების, ისტორიის „თეთრი ლაქების“, სახელმწიფო წყობილების საკითხების გამო დისკუსიების დროს არგუმენტების ძიების ნაცვლად ოპონენტები პოტენციურ მტრებად გადაიქცნენ იმ დროს, როცა უნდა ემოქმედათ დარწმუნების მეთოდებით, აღმოეფხვრათ ბარიერები, გადაექცეათ პარტნიორებად ისინი, ვისაც ერთი საერთო მიზანი აქვს — ხალხის კეთილდღეობა.

ამის შედეგად არა მარტო დაიკარგა ნორმალური კონტაქტი პარტიულ-სახელმწიფო აპარატსა და საზოგადოებრიობას შორის, არამედ წინა წლების ბევრი პერსპექტიული წამოწყება გაქრა. ბევრი საჭირბოროტო საკითხი, რომლებიც აწუხებდა რესპუბლიკის საზოგადოებრიობას, ბოლო დროს თვალთახედვის არედან გამორჩა ხელმძღვანელობას, რომელიც ხშირად არაკოლეგიურ გადაწყვეტებს იღებდა და რომელმაც ვერ შეძლო შეეშუშავებინა კონსტრუქციული მიდგომა მომწიფებული პრობლემებისადმი.

9 აპრილს განცდილმა ტკივილმა შეძრა ყველა. საუბარი დაიწყო, მაგრამ ეს საუბარი ემოციური, გულისწყრომით აღსავსე, გაფთრებული, მწვავე გამოდგა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალი ცოცხალი ძაფები გაჩნდა ადამიანებს შორის, რომლებიც მსჯელობენ მომხდარის მიზეზებზე. და ეს ძაფები შეიძლება ნდობის მტკიცე კვანძად გადაიქცეს, თუ უკვე დღეს გადაიდგა სინამდვილის ადეკვატური ნაბიჯები, თუ დაძაბულობას, რომელსაც, ბუნებრივია, [illegible] ახალ [illegible] ქმნიან, [illegible] ფენის მოთხოვნებსა და სურვილებს. ამისათვის უაღრესად საჭიროა ავაგოთ და ავამოქმედოთ ხალხთან მუდმივი ურთიერთობის, მუდმივი დიალოგის ეფექტიანი სისტემა.

იმისათვის, რომ გავმართოთ ეს დიალოგი, უნდა ვიცოდეთ, რა აღელვებს და აწუხებს ადამიანებს, როგორია მათი მტკივნეული წერტილები. ღრმად უნდა ჩავწვდეთ დაგროვილი პრობლემებისა და შესაძლებლობების არსს, კადრების საქმიან და ზნეობრივ თვისებებს, რომლებმაც უნდა გადაჭრან ეს პრობლემები. საკადრო პოლიტიკაში განსაკუთრებით საჭირო გააზრებული, აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილები. და, თუ მუშაკი თავს ვერ ართმევს ამოცანებს, არა აქვს მათი გადაწყვეტის მორალური უფლება, იგი უნდა შეცვალოთ.

რესპუბლიკის პირველმა ხელმძღვანელებმა საზოგადოებრიობას, პარტიულ ორგანიზაციებს უნდა გააცნონ ზუსტი, გააზრებული, კონსტრუქციული სამოქმედო პროგრამა. ბევრ რამეში შეცვალონ პარტიული კომიტეტების მუშაობის სტილი და მეთოდები, მთელი საქმიანობა დაადუღონონ ნამდვილი კოლეგიურობის, ობიექტურობისა და სიმართლის პრინციპებზე.

საბოლოო დასკვნები და ამომწურავი პოლიტიკური შეფასებები უნდა გაკეთდეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. უნდა შევიმუშაოთ საპროგრამო დოკუმენტები, რომლებიც გაითვალისწინებენ რესპუბლიკისათვის ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ღონისძიებათა კომპლექსს განხორციელებას.

ბიუროს სხდომაზე განიხილეს ერთიაშორისი ურთიერთობის სრულყოფის ამოცანები, ხაზგასმით აღინიშნა მთავარი, პრიორიტეტული მიზანი, — ვამრავლოთ, განვავითაროთ, გავამდიდროთ ხალხთა ურთიერთობა საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ტრადიციები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მუშაობაში მონაწილეობენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე და გ. პ. რაზუმოვსკი.

განიხილეს საგარეო ურთიერთობის პერსპექტივები

18 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე შეხვედა და ესაუბრა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრს გ. დ. ჯავახიშვილს.

შეხვედრის დროს განიხილეს ფართო წრის საკითხები, რომლებიც ეხება საზოგადოებრივ ქვეყნებთან რესპუბლიკის ურთიერთობის მთელი კომპლექსის განვითარების მდგომარეობასა და პერსპექტივებს.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ გარდაქმნა, დემოკრატიზაცია და საჯაროობა გულისხმობს რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სამინისტროების, მუშაობის ძირეულ ცვლილებებს, მათი საქმიანობის სფეროს გაფართოებას, მთელი რიგი პრობლემების გადაჭრის რესპუბლიკების გამგებლობაში გადაცემას, რაც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ აქტიურად წარმოვადგინოთ მათი ინტერესები საზღვარგარეთ.

თბილისიდან გამემგზავრნენ

18 აპრილს თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ე. ა. შევარდნაძე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი.

თბილისის აეროპორტში ე. ა. შევარდნაძე და გ. პ. რაზუმოვსკი გაეცალეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა.

გამგზავრების წინ ე. ა. შევარდნაძე და გ. პ. რაზუმოვსკი ესაუბრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გ. გ. გუმბარიძეს.

კომისია მუშაობას შეუდგა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამოძიების კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მუშაობას შეუდგა.

18 აპრილს გაიმართა მისი პირველი სხდომა, რომელზეც განიხილეს ორგანიზაციული საკითხები. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი თ. ვ. შავგულიძე.

მომჭირნედ ვხარჯოთ რესურსები

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომეცინენე და ეკონომიური ხარჯვის საკითხი ყოველთვის იყო იმ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც საყოველთაოდ ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ ამჟამად სომხეთში ატომური ელექტროსადგურის გაჩერებასთან დაკავშირებით, ამ საქმეს ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ამ მხრივ მხოლოდ საქართველოა დეფიციტური.

მართალია, გაჭირვების ჟამს ყველა რესპუბლიკა თანაბრად გაიზიარებს ელექტროენერგიის უკმარისობით შექმნილ სიძნელეებს და შეზღუდვებიც ყველას თანაბრად შეეხება, მაგრამ იმისთვის, რომ გვქონდეს თანაბარ პირობებში ყოფნის მორალური უფლება, საჭიროა აუცილებლად შეასრულოთ ყველა ის მოთხოვნა, რომლებსაც შექმნილი ვითარება გვიყენებს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ხელმძღვანელმა ორგანოებმა განსაზღვრეს ელექტროენერგიისა და სამძლავრის მოხმარების ის მაქსიმალური მოცულობა, რომლის დაცვა აუცილებელი და თანაც სავსებით შესაძლებელია, თუ ყველა მომხმარებელი ერთნაირი გულისყურით მიუდგება ელექტროენერგიის მომჭირნე ხარჯვის პრობლემას. ამ საკითხში დაუდვირობამ შეიძლება გამოიწვიოს სიხშირის ავტომატური განტვირთვის მოქმედება და დიდი რაოდენობის მომხმარებლების ქსელიდან გამორთვა.

იმისთვის, რომ გაადვილდეს ელექტროენერგიის სიმძლავრის ლიმიტების კონტროლი, ისინი დაწესებული აქვს როგორც ყველა ქალაქსა და რაიონს, ისე თითოეულ ენერგოტევად საწარმოს.

ქალაქებსა და რაიონებს ხელმძღვანელობას დავალებული აქვთ სათანადო ღონისძიებები განახორციელონ აღნიშნული სიდიდეების მკაცრი დაცვისათვის. კერძოდ, რეკომენდებულია ეს გაკეთდეს უწყვეტი სამუშაო კვირის შემოღების, ცვლების დაწყებისა და დამთავრების ვადების შეცვლის, ზამთარში ენერგოტევად მოწყობილობათა კაპიტალური შეკეთების ჩატარების, ელექტრული დატვირთვების ღამის საათებში გადატანის, მაქსიმალური დატვირთვებისას ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების გამორთვის და სხვა ღონისძიებათა განხორციელების ბარეზე.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დავალებული აქვთ მკაცრი კონტროლი დაუწესონ ლიმიტების ზუსტ დაცვას.

შესაძლოა ჩვენი წუხილი დღესდღეობით ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, ვინაიდან ჭერჭერობით ძალზე ცოტაა ისეთი საწარმოები, რომლებზეც შეზღუდვები გავრცელებულიყოს, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამ ბოლო ხანს საგრძნობლად დათბა, რამაც ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, ელექტროენერგიის მოხმარების კლებას, მეორე მხრივ, თოვლის დნობის გამო დასავლეთ საქართველოს მდინარეებში წყლის შემოდინების მატებას და, შესაბამისად, ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდას.

მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ მომავალი ზამთარი ამ მხრივ მეტად მძიმე იქნება.

ჩვენში შემოდგომა-ზამთარი სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის მეტად დაძაბული და რთული პერიოდია. ეს დაძაბულობა, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, მომავალ ზამთარში კიდევ უფრო გაიზრდება. ეს თქმა უნდა, არ არის გამორიცხული მაღალი ძაბვის სისტემათშორისი ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანების ან გაერთიანებაში დიდი სიმძლავრის ენერგოდანადგარების ავარიული გაჩერების შემთხვევებიც.

ყველაფერ ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ სახალხო მეურნეობის უკლებლივ ყველა დარგი, როგორც არასდროს, ისე მოემზადოს ზამთრისათვის.

უნდა ითქვას, რომ ყველა დარგის მუშაკებს საკმაო გამოცდილება აქვთ მიღებული ამ მიმართულებით და ყველასათვის ნათელია, რომ, თუ ზამთრისათვის მზადებისას საჭირო ღონისძიებები არ განხორციელდა და საკმაო მოცულობის სამუშაოები არ შესრულდა, ენერგომომარაგებაში ადგილი ექნება შეფერხებებს.

ამაში ნათლად დაგვარწმუნა არაერთმა განვლილმა ზამთარმა, როდესაც მარტო ენერგეტიკული სიმძლავრეების უკმარისობისა და, შესაბამისად, ელექტროდენის დასაშვებ სიხშირეზე მეტად შემცირების გამო კი არ გამოირთვებოდა მომხმარებელთა გარკვეული ნაწილი, არამედ იმის გამოც, რომ სახალხო მეურნეობის ბევრმა დარგმა არასრულყოფილად მოამზადა თბო და ენერგეტიკული მეურნეობები, იყო ელექტროენერგიის დადგენილი ლიმიტების მნიშვნელოვანი გადახარჯვის შემთხვევები.

ამჯერად ლიმიტები დაშვებულია იმის გათვალისწინებით, რომ ყველა საწარმომ თუ დაწესებულებამ, ქალაქმა თუ რაიონმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით უნდა შეამციროს ელექტროენერგიისა და სიმძლავრის მოხმარება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ზამთრის პერიოდში, ზაფხულთან შედარებით, ელექტროენერგიის საღღეღამისო მოხმარება 50 პროცენტით იზრდება.

რა განაპირობებს ამას?

უწინარეს ყოვლისა, ელექტროენერგიის გამოყენება გათბობის მიზნით, თანაც როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

თუ სოფლის მოსახლეობა ამის ჭირითად მიზეზად სათბობის უქონლობას ასახელებს, ქალაქის მოსახლეობა გათბობის სისტემების გაუმართავ მუშაობას იმიზეზებს.

იმისათვის, რომ არსებული ელექტროენერგეტიკული რესურსები ვიკმაროთ, საჭიროა უწინარესად გათბობის სისტემები მოგამზადოთ ზამთრისათვის იმგვარად, რომ მათი მოქმედების ზონაში მყოფ არც ერთ მობინადრეს არ დასჭირდეს დამატებითი სითბოსათვის ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების გამოყენება.

არადა, გამოანგარიშებით დადასტურებულია, რომ, თუ რესპუბლიკაში არსებული გათბობის სისტემები შეუფერხებლად და ზარისხიანად იმუშავებენ, დღეღამეში სულ მცირე 5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაიზოგება.

დიდი რეზერვებია სამრეწველო საწარმოებშიც. ნელი ტემპით ინერგება თანამედროვე ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიები, დაბალია მეორადი ენერგორესურსების გამოყენების დონე, არასაკმარისი ტემპით ვითარდება პრიგრესული მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და დანადგარების გამოშვება, რომლებიც უზრუნველყოფენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალურ გამოყენებას. სერიოზული ნაკლოვანებებია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ნორმირებასა და აღრიცხვაში.

ამასთანავე შემოწმებებმა ცხადყო, რომ მრავალ შემთხვევაში უყაირათოდ იხარჯება ელექტროენერგია. ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი არაფრად აგდებს იმას, თუ რა დიდი შრომაა გაწეული ამ სიმდიდრის გამომუშავებისა და მომხმარებლამდე მიტანისათვის.

ელექტროსადგური, იქნება ის ჰიდროავლიკური, თბური თუ ატომური, არის ძალზე რთული მექანიზმებითა და დანადგარებით აღჭურვილი დიდი საწარმო, რომელსაც დიდძალი მომსახურე პერსონალი ჰყავს. ასევე მეტად რთული და პასუხსაგები კვანძია ელექტროქსელი, რომლის მეშვეობითაც მიეწოდება გამომუშავებული ელექტროენერგია უშუალოდ მომხმარებელს.

ელექტროსადგურებისა და ქსელების პერსონალი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობს, მისთვის არ არსებობს დასვენება, ეთქვათ, მეტეოროლოგიური პირობების გამო. თოვლი იქნება თუ ყინვა, წვიმა თუ გრეგალი, ენერგეტიკული სამსახურების პერსონალმა ზოგჯერ სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების საფასურადაც კი უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა. ელექტროენერგიის მიღებაზე ძალზე ძნელია, ხარჯვა კი ძალზე იოლი. და რაოდენ დასანანი და სამწუხაროა, რომ ასეთ პირობებში ენერგოსისტემა იძულებული ხდება ქსელიდან გამორთოს მომხმარებელები ელექტროენერგიის უყაირათო, არაეკონომიური და ხანდახან უმიზნო ხარჯვის გამო.

მაგალითად, უმიზნო განათებისათვის ქსელიდან გამოირთო ქ. თბილისში წულუკიძის ქ. №3-ში არსებული სბაავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის საქსოვი საწარმო, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ადმინისტრაციული შენობა, სატრანსპორტო გაერთიანების სპეცსარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ხის დამამუშავებელი საამქრო, ქარხანა ელექტროძრავის ადმინისტრაციული შენობა.

ცხინვალის ხორცკომბინატის საამქროში გათბობის მიზნით დაყენებული იყო კუსტარული ელექტროღუმელი. ელექტროენერგიის უნებართვოდ, გათბობის მიზნით გამოყენებაში განსაკუთრებით სკოდაკენ სოფლად ვაჭრობის და საზკვების ობიექტები, აგრეთვე ავტოტექმომსახურეობის სადგურები.

ელექტროენერგიის არადანიშნულებით და უყაირათოდ ხარჯვისათვის კიდევ ბევრი სხვა ობიექტი იქნა გამორთული, ან მათ მიმართ განხორციელდა სხვადასხვა სახის სანქცია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ხელმძღვანელს არაფრად უღირს ჯარიმების გადახდა, ვინაიდან ეს ჯარიმებიც ენერგიის და სათბობის მიწოდებაზე და ურჩი. გადამზდელების მიზეზით მთელი რესპუბლიკა მეტად მძიმე პირობებში აღმოჩნდეს.

კიდევ ერთი საკითხი: აქამდე რესპუბლიკაში ელექტროენერგიის გათბობის მიზნით გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ საქენერგოდან გაცემული სპეციალური ნებართვით. ეს ნებართვები გაიცემოდა როგორც საცხოვრებელი სექტორის, ისე კოოპერატივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის.

ახლა კი, შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მიღებულია გადაწყვეტილება აიკრძალოს ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების გამოყენების თაობაზე ნებართვის გაცემა. იგი გაიცემა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

რა თქმა უნდა, როდესაც მომხმარებლის როლზე, მათი თვითდისციპლინის ამაღლებაზე ვამახვილებთ ყურადღებას, ისიც უნდა აღვნიშნოთ, თუ როგორ ემზადება ენერგოსისტემა მომავალ ზამთარში გამართული მუშაობისა და მომხმარებლთა შეუფერხებელი ენერგომომარაგებისათვის.

ამისათვის შემუშავებულია სპეციალური პროგრამა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რა თქმა უნდა, ვანიჭებთ თბოელექტროსადგურების გამართულ მუშაობას. ძირითად სადგურში, თბილისის სახელმწიფო ელექტროსადგურში გათვალისწინებულია 2 ენერგობლოკის საშუალო რემონტი. ამის გარდა ყველა ენერგობლოკს ჩაუტარდება მიმდინარე შეკეთება. აღსანიშნავია, რომ თბილისადგურების ტურბინებისა და გენერეგატორების სარემონტოდ მოწვეული გვყავს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები ქალაქ ხარკოვიდან.

დროულად დავაგროვებთ სათბობს რეზერვუარებში, რათა ზამთარში ამ მხრივ გაჭირვება არა გვქონდეს. ამასთანავე იმედი გვაქვს, რომ სათბობის სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს ელექტროსადგურების ბუნებრივი გაზით გამოყოფილი ფონდების ფარგლებში და არ განაგრძობს ელექტროსადგურების საშუალებით გაზის მოხმარების რეგულირების არასწორ პრაქტიკას.

მარეგულირებელ წყალსაცავებში საჭირო იქნება წყლის მაქსიმალური რესურსების შენახვა ზამთრის დადგომამდე, რათა მათი რესურსები შემოდგომა-ზამთრის პერიოდის დასასრულამდე გაგვყვეს.

გარკვეულ იმედს ვამყარებთ ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის ბუნებრივ გაზზე გადაყვანაზე. ეს სადგური ხომ დასავლეთ საქართველოს დეფიციტურ ნაწილშია მოთავსებული და მის გამართულ მუშაობას მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩვენი რესპუბლიკის ენერგომომარაგების სამეფლობა და სტაბილურობა ბევრად არის დამოკიდებული მეზობელი ენერგოსისტემებიდან ენერგიის მიღებაზე. ამიტომ შემუშავებული გვაქვს სპეციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სისტემათშორისი და სასისტემო მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობის გამოკვლევას, მათ გაჯანსაღებას. გათვალისწინებულია აგრეთვე სხვა სპეციალური სამუშაოების განხორციელებაც.

და ბოლოს, იმედს გამოვთქვამთ, რომ, როგორც მოსახლეობა, ისე რესპუბლიკის ყველა საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელები, მთელი გულისყურით მოეკიდებიან ამ მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს, სათანადო ღონისძიებებს განახორციელებენ იმისათვის, რომ დაცული იქნეს ელექტროენერგიისა და სიმძლავრეთა დაწესებული ლიმიტები და რესპუბლიკამ ზამთრის პერიოდი სერიოზული შეფერხებების გარეშე განვლოს.

გერმან მექმარიაშვილი,
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

რევაზ არველაძე,
„საქმთავარენერგოს“ გენერალური დირექტორის მოადგილე.

შეიქმნა საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისია

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეიქმნა საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისია 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა ექსპერტიზის მიმდინარეობის მეთვალყურეობისათვის. კომისია მუშაობას შეუდგა 11 აპრილს ღამით. კომისიის შემადგენლობაში შედიან მეცნიერი მედიკოსები, საზოგადოებრიობის, მათ შორის არაფორმალური გაერთიანებების წარმომადგენლები. 14 აპრილიდან კომისიის მუშაობაში ჩაერთვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები.

კომისიის ცნობები

№ 1

9 აპრილს დილით სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა თბილისის საავადმყოფოებში მიიყვანა 200-ზე მეტი დაშავებული. დღეისათვის თბილისის საავადმყოფოებში რეგისტრირებულია მიტინგის მონაწილეთა დაღუპვის 18 შემთხვევა. მათ შორის 16 დაღუპულია შემთხვევის ადგილზე, ერთი — 11 აპრილს, მეორე — 13 აპრილს. გარდა ამისა, 11 აპრილს დაიღუპა კიდევ ერთი კაცი, რომელიც კომენდანტის საათის შემოღების შემდეგ ტყვიით თავში სასიკვდილოდ დაჭრეს.

საავადმყოფოებში მოთავსებულ პირთაგან ზოგიერთს სხეულის სხვადასხვა ნაწილში, უმეტესად კი თავის არეში, მიყენებული აქვთ ჭრილობები და დაზიანებანი როგორც ბასრი, ისე ბლაგვი საგნებით. ბევრი მოწამლულია, რამდენიმე კაცი მძიმე მდგომარეობაშია. როგორც თბილისელმა, მოსკოველმა და ლენინგრადელმა კომპეტენტურმა სპეციალისტებმა ტოქსიკოლოგებმა დასკვნეს, დაშავებულნი მოწამლული არიან უცნობი ქიმიური ნივთიერებით. სამკურნალო დაწესებულებებს დღემდე მომართავენ ავადმყოფები ინტოქსიკაციის გამო ჩივილებით, მათი ნაწილი მოთავსებულია სტაციონარში.

დაღუპულთაგან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩიუტარდა 16-ს (ორის ჭირისუფლებმა ექსპერტიზაზე უარი თქვეს).

კომპლექსური ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარებას და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საბოლოო დასკვნის მიღებას ორი კვირა მაინც დასჭირდება. შედეგები გამოქვეყნდება პრესაში.

მაგრამ ამ ეტაპზე უკვე შეიძლება ითქვას, რომ გარდაცვლილთაგან: ერთი დაღუპულია ნეკნების მრავლობითი მოტეხილობისა და ფილტვების დაშავების გამო.

მეორის დაღუპვის უშუალო მიზეზი ასფიქსიაა (მოგუდვა), განვითარებული ტრავმის მიღების ან მოშუამლის შედეგად;

მესამე გარდაიცვალა საავადმყოფოში ქალა-ტვინის მძიმე ღია ნაპობი ჭრილობის შედეგად;

ორი გარდაიცვალა ტრავმულ-კომპრესიული ასფიქსიით;

დანარჩენ შემთხვევებში სიკვდილის მიზეზი ასევე ასფიქსიაა, ამასთან არ არის გამორიცხული, რომ ამჯერად ასფიქსია განვითარდა ქიმიური ნივთიერებით მოწამლვის ფონზე. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მიცვალებულებიდან ზოგს აღენიშნება ფიზიკური ტრავმაც.

მიცვალებულთა სხეულის ყოველი გარეგანი დაშავება ფოტოგრაფირებულია.

დღეისათვის სამხედრო სამედიცინო დაწესებულებებში მოთავსებულია 25 სამხედრო პირი, მათ შორის 4 მძიმე მდგომარეობაშია;

შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰოსპიტალში წევს მილიციის 12 თანამშრომელი, მათ შორის 4 მძიმე მდგომარეობაშია;

საზოგადოებრივ-საექსპერტო კომისიის მუშაობა გრძელდება.

№ 2

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისია განაგრძობს სტაციონარებში მყოფ დაშავებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას.

არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემების მიხედვით, 9 აპრილიდან დღემდე სამედიცინო დაწესებულებების სტაციონარებში მოთავსებულია 257 კაცი. გარდაიცვალა სამი. 133 კაცი საავადმყოფოებიდან გაეწერა, რადგან მკურნალობის შედეგად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ზოგიერთმა დაშავებულმა პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების შემდეგ თავისი სურვილით დატოვა სტაციონარი. ასეთ პირებს კომისია დაჟინებით სთხოვს, ნუ გამოიჩენენ დაუდევრობას საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ.

16 აპრილის დილის 9 საათისათვის საავადმყოფოებში იყო 121 ავადმყოფი, მათ შორის 51 ქალი და 10 ყმაწვილი.

კომისიის წევრებმა ინახულეს დაშავებულთა დიდი ნაწილი როგორც რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს საავადმყოფოებში, ისე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰოსპიტალში. კომისია ეწვია აგრეთვე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჰოსპიტალსა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ლაზარეთს.

სამხედრო პირთა შორის მსხვერპლი არ არის.

დაშავებულთა რიცხვისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ უწყებათაგან ადრე მოწოდებულ ინფორმაციასა და ფაქტობრივ მონაცემებს შორის სხვაობა არ შეინიშნება.

რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს საავადმყოფოებში რეგისტრირებულია მოწამვლის ნიშნებით 66 კაცი. ბასრი და ბლაგვი საგნებით მიყენებული სხვადასხვა ჭრილობებით — 24, თავის ტრავმებით — 67, მოტეხილობებით— 11, ტყვიით დაჭრილები 3 კაცი.

დაშავებულთა დიდ ნაწილს აღენიშნება ერთდროულად სხვადასხვა სახის დაზიანებები, რის გამოც აღნუსხულ დაზიანებათა რიცხვი არ ემთხვევა სტაციონარში მოთავსებულთა რიცხვს.

რამდენიმე პაციენტის მდგომარეობა მძიმეა: სამედიცინო ეთიკა არ გვაძლევს უფლებას დავასახელოთ მათი ვინაობა და გამოვაქვეყნოთ ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისია მუშაობას განაგრძობს.

• • •

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შექმნილ საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისიის გუშინდელ სხდომას „კომუნისტის“ კორესპონდენტიც ესწრებოდა.

სხდომაზე დიდი სჯა-ბაასი, ცხარე კამათი გაიმართა. იმის დასადგენად, თუ რა სახის მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებები გამოიყენეს ცხრა აპრილს რუსთაველის პროსპექტზე.

ქიმიკოსების და ტოქსიკოლოგების დახმარებით, ამ ხნის განმავლობაში ზოგი ნივთიერება, თითქოს დადგინდა კიდეც. თუმცა, აი, რას ამბობს პროფესორი **ბიძინა ჭუმბურიძე:**

— გარდაცვლილების ტანსაცმელზე და ფეხსაცმელზე აღმოჩნდა ნივთიერება, რომელიც ჭერჭერობით ვერ დავადგინეთ, ცხადია, კვლავაც დაგვჭირდება კვლევა, და ამ საქმეში დავეხმარებიან უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სამედიცინო ინსტიტუტის ქიმიის კათედრები...

„კომუნისტის“ გუშინდელ ნომერში, ცხადია, წაიკითხავდით, რომ თბილისში 1989 წლის 9 აპრილის მომხდარ გარემოებათა გამოსარკვევად შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისგან.

საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისიის გუშინდელ სხდომაზე ითქვა, რომ ეს კომისია, ალბათ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიას დაექვემდებარება.



ყურადღების ცენტრშია სოციალური სფერო

ფოთის სამრეწველო საწარმოებში დიდი ყურადღება ეთმობა სოციალური სფეროს განვითარებას.

წელს ადგილობრივმა ჩაის კომბინატმა ამ მიზნებისათვის გამოჰყო 1.200 ათასი მანეთი, რომელიც გათვალისწინებულია საცურაო აუზის მშენებლობისათვის, რომელსაც ეშენება სარეაბილიტაციო ცენტრი, ხაუნა და საშხაპეები. წლის შუა რიცხვებისათვის აპირებენ დასვენების ზონაში ააგონ სასტუმროები, ოთხი კოტეჯი და საცხოვრებელი სახლი.

მნიშვნელოვანი ანარიცხებია გათვალისწინებული ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელგემოსაშენებელი ქარხნისათვის, „ფოთიელექტროაპარატის“ ქარხნისათვის, რომლებიც თავიანთი მუშაკებისათვის ქმნიან ჯანსაღი ყოფისა და სრულფასოვანი დასვენების პირობებს.

სურათებზე: ფარმაცევტი ნაზი ესიავა ქარხანა „ფოთიელექტროაპარატის“ აფთიაქში; ფოთის ჩაის კომბინატის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი ბუთხუზი ჯიქძე (ცენტრში) და შემდეგ მეორეთა და მებათქაშეთა ბრიგადირები ნიკოლოზ კილასონია და რევაზ ჯიქია საცურაო აუზის მშენებლობაზე.

საქინფორმის ფოტო.

ფვირთი, რომელიც გვამძიმებს

„ბაზეთი „კომუნისტი“, 1989 წლის 5 მარტი

„კომუნისტის“ კრიტიკულ პუბლიკაციას უპასუხებს პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი „დ. ხარებავილი“

პარტიის რაიკომის ბიუროს მიმდინარე წლის 9 მარტს იმსჯელა ზემოაღნიშნულ წერილზე და მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც 25 აპრილს ჩატარდება პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

აქტივის კრების მომზადებისათვის შექმნილ ცხრაკაციან სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს პარტიის რაიკომის მეორე მდივანი. ბიუროს სამუშაო ჯგუფს დაავალა ღრმად გაანალიზოს რაიონის სახალხო მეურნეობაში არსებული ჩამორჩენისა და ნაკლოვანებების მიზეზები, შეიმუშაოს მათი გამოსწორების ღონისძიებები.

რაიონის პროკურატურას დაევალა შეისწავლოს რაიკომის პლენუმზე აღნიშნული და „კომუნისტის“ პუბლიკაციაში მითითებული სოციალისტური კანონიერების დარღვევების, ნეგატიური მოვლენების ფაქტები და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები, საჭიროების მიხედვით შესაბამისი წინადადებები წარუდგინოს პარტიის რაიკომს.

ამავე ბიუროს დადგენილებითა და მომავალი პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების დღის წესრიგით მიმდინარეობს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ღია კრებები, სადაც მომაგრებულნი არიან რაიკომის წევრები და წევრობის კანდიდატები. 166 პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან პარტიული კრება უკვე ჩატარებულია უმრავლესობაში.

პარტიის რაიონული კომიტეტი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად განახორციელებს ღონისძიებებს რაიონის მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

აუხდენელ ოცნებად დარჩა

„კომუნისტი“ 1989 წლის 19 თებერვალი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის № 2 სარემონტო სამშენებლო ტრესტის მმართველი ო. გაბელაია:

სამტრედიის რაიონის ვაზისუბნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში შემავალ სოფელ ტოლების საავტომობილო გზის მშენებლობასთან დაკავშირებით გაცნობები, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მიერ № 2 სარემონტო-სამშენებლო ტრესტს 1987 წელს დაევალა საიჯარო გეგმის ფარგლებში შემკვეთთან პირდაპირი ხელშეკრულებით შეესრულებინა სოფელ ტოლების საავტომობილო გზის მშენებლობის სამუშაოები.

აღნიშნული გზის ტექნიკური დოკუმენტაცია 1987 წელს დამუშავა რესპუბლიკური მიწათმოქმედების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა „საქსახმიწპროექტმა“. სახელმწიფო სამშენებლო ნორმების შესაბამისად, მისი მშენებლობის ხანგრძლივობის ვადა თერთმეტ თვეს შეადგენს. დოკუმენტაცია გადმოგვეცა ივნისში, ხელშეკრულება გაფორმდა მეურნეობასთან და სამუშაოების შესრულება დაიწყო ივლისიდან. წლის ბოლომდე შესრულდა 160 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

შარშან მეურნეობას დარჩენილი სამუშაოების შესრულებაზე არ წარმოუდგენია ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაცია, რის გამოც გზის მშენებლობის სამუშაოები შეჩერდა.

თუ მეურნეობას მიმდინარე წელს ექნება გზის დასამთავრებლად საჭირო კაპიტალური დაბანდება და გაფორმდება ხელშეკრულება, ტრესტი ყველაფერს იღონებს მესამე კვარტალში მის დასამთავრებლად.

მდგომარეობა ძალზე დამაფიქრებელია

„კომუნისტი“, 1989 წლის 1 თებერვალი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი გ. ბუგიანიშვილი

ჩვენი გაერთიანებისა და მისი მეთაური „მიკროძრავის“ ქარხნის მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები სწორია.

სტატია განხილულ იქნა შრომითი კოლექტივის საბჭოს სხდომაზე, სადაც აღინიშნა, რომ მასში ობიექტურად და სამართლიანად იყო გაშუქებული ჩვენს საწარმოში არსებული მდგომარეობა. ითქვა, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭიროა რადიკალური ღონისძიებების განხორციელება.

1989 წლის დავალებათა შესრულების მიზნით საწარმომ მიაღწია იმას, რომ სახელმწიფო შეკვეთა, არსებული საწარმოო სიმძლავრეები და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ურთიერთდაბალანსებული ყოფილიყო, რაც წლევანდელ საგეგმო დავალებათა შესრულების რეალურ საშუალებას მოგვცემს.

სამეურნეო ანგარიშის გაღრმავებისა და ეკონომიკური ბერკეტების უკეთ გამოყენების მიზნით „მიკროძრავის“ მეთაური ქარხნის 2 ძირითადი საამქრო — სტეიფრო-სამსხმელო და საიარაღო — მიმდინარე წლის აპრილიდან გადავა საიჯარო ურთიერთობაზე, ხოლო წლის ბოლომდე ყველა ძირითადი საამქრო იჯარული ურთიერთობების პირობებში იმუშავებს.

სახელმწიფო გეგმის შესრულება საშუალებას მოგვცემს მკვეთრად შევამციროთ არამწარმოებლური ხარჯები და შევაქმნათ გეგმით გათვალისწინებული ეკონომიკური სტიმულირების ფონდები, რათა წავახალისოთ მაღალმწარმოებლური შრომა. სერიოზული ღონისძიებები განხორციელდება გაერთიანების შრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის.

შრომითი კოლექტივის საბჭოს სხდომაზე ითქვა, რომ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისა და საწარმოს სტაბილური მუშაობისათვის მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საწარმოს მუშაობის სრული სტაბილიზაციისათვის საჭიროა გაერთიანების ხელმძღვანელობის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივის საბჭოს და კოლექტივის თითოეული წევრის დაძაბული მუშაობა დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად. სწორედ ეს იქნება ჩვენი მთავარი საზრუნავი.

დანაშაულის კვალდაკვალ

„კომუნისტი“ 1989 წლის 22-26 თებერვალი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებენ:

თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის 26 კომისრის რაიონული განყოფილების დირექტორი ნ. კპარაცხელია:

ბაზეთის კრიტიკული შენიშვნა, რომელიც თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის 26 კომისრის რაიონულ განყოფილებაში შემავალ № 3 უნივერსამში ვაჭრობის წესების დარღვევის, კერძოდ გამყიდველ რ. ზადიკიანის მიერ მყიდველის მოტყუების ფაქტს ეხებოდა, სწორია.

№ 3 უნივერსამის გამყიდველი რ. ზადიკიანი დათხოვილია სამუშაოდან და საქმე გადაეცა რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას სისხლის სამართლის საქმის აღსაძრავად, ხოლო გამგის მოადგილეს მ. ბურუკურს სუსტი კონტროლისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

გლდანის რაიონული განყოფილების დირექტორი პ. ნებაძე:

წერილში მოყვანილი ფაქტი სწორია. ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ გლდანის ხილბოსტანვაჭრობის № 140 მაღაზიაში შემოწმების შედეგად გამოვლენილი ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის გამო მაღაზიის გამგე მ. კეჩხუაშვილი ჩამოქვეითებულია 6 თვით უფროს გამყიდველად.

აღნიშნული დარღვევა გლდანის ხილბოსტანვაჭრობის პარტიული კრების მსჯელობის საგნად იქცა, რომლის გადაწყვეტილებით გ. კეჩხუაშვილს, როგორც სკკპ წევრს, პარტიული სასჯელი დაედო.

გამყიდველი ნ. ამოიანი განთავისუფლებულია სამუშაოდან და მის საქმეს ამჟამად საგამოძიებო ორგანოები იძიებენ.

პირველი მაისის რაიონული განყოფილების დირექტორი ჯ. სილაგაძე:

საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის პირველი მაისის № 115 მაღაზიაში მოხდა, გაცნობებთ, რომ გამყიდველი ზ. აკოფიანი საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევისათვის განთავისუფლებულია სამუშაოდან.

№ 115 მაღაზიის გამგეს თ. ისეფაშვილს თანამშრომლებისადმი სუსტი კონტროლისათვის სასტიკი საყვედური გამოეცხადა.

2 19 აპრილი, 1989 კომუნ

ტყე შევუნახოთ შვილებსა

საქართველოში ტყეების დიდი ნაწილი (97,8 პროცენტი) პირველი ჯგუფისაა. ისინი ასრულებენ ისეთ მნიშვნელოვან ეკოლოგიურ და სოციალურ ფუნქციებს, როგორიც არის ნიადაგის დაცვა, წყლის რეგულირება და შენახვა, თოვლის ზვავების შეკავება, კურორტოლოგიური, რეკრეაციული ფუნქციები და სხვ. ამდენად, ცხადია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტყის სანარგებლო ფუნქციების შენარჩუნება-გაძლიერებას, მისი საერთო მდგომარეობისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესებას.

რესპუბლიკაში და, კერძოდ, სამეგრელოს რეგიონში 1987 წლის იანვარ-თებერვალში დატრიალებულმა ტრაგედიამ, მდინარე რიონის წყალდიდობას რომ მოჰყვა და აურაცხელ ზარალთან ერთად, სამწუხაროდ, ადამიანთა სიცოცხლეც შეიწირა, კიდევ ერთხელ გვიკარნახა, მეცნიერულად გაგვეანალიზებინა, თუ რამ განაპირობა მდინარის ადიდების დაჩქარება უმოკლეს დროში წყლის ხარჯის არნახული მატება და, რაც მთავარია, დაგვესახა ღონისძიებები, რომელთა განხორციელება აუცილებელი იქნება მომავალში, რათა თავიდან ავიცილოთ მსგავსი სტიქიური უბედურებები.

ცნობილია, რომ ტყე საერთოდ, განსაკუთრებით კი მთათა ფერდობებზე, ატმოსფერული ნალექებისა და ზედაპირულად ჩამდინარე წყლების მძლავრი რეგულატორია. სწორედ ეს თვისებები განსაზღვრავს მთის ტყეებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან — წყალმარეგულირებელი ფუნქციის ეკოლოგიურ არსს.

მთის ტყეები და მათ ქვეშ განვითარებული ყომრალი ნიადაგები, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სტრუქტურითა და ტყის მკვიდრი საფრით, წყალგამტარობის განმსაზღვრელი მაღალი არაკაპილარული ფორიანობითა და ასეთივე ჰაერაციით, მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსული ატმოსფერული ნალექების გატარებას ტყის საბურველქვეშ, ნიადაგის ზედა ჰორიზონტებიდან მის სიღრმეში, ეს კი ტყის საფარმოკლებულ ფართობებთან შედარებით, 15-20-ჯერ ამცირებს ზედაპირულ ჩამონადენს.

აღსანიშნავია, რომ მოსული ატმოსფერული ნალექების ღვარცოფებად, თოვლის ზვავებად და სხვა სტიქიურ მოვლენებად ფორმირება ძირითადად ალპურ ზონასა და სუბალპური ტყეების სარტყელში მიმდინარეობს. სუბალპური ტყის ნიადაგები, შუა და ზედა ზონის ტყის ნიადაგებთან ერთად, ხასიათდება მაღალი საერთო ფიზიკური თვისებებით. რითაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბუნების უარყოფითი სტრქიული პროცესების თავიდან აცილებისათვის.

სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს ალპურ სარტყელში. აქ არსებული ნიადაგები დაბალი არაკაპილარული და საერთო ფორიანობით ხასიათდება. ზამთრობით ეს ნიადაგები მნიშვნელოვან (10-20 სმ) სიღრმეზე იყინება, რითაც საგრძნობლად იზრდება ზედაპირული ჩამდინარე წყლების მოცულობა. ნათქვამიდან ცხადი ხდება, რომ სწორედ სუბალპური ტყე არის ის ძირითადი ფორპოსტი, გარემოს სტაბილიზაციის ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ანიველირებს ალპური სარტყელიდან ზედაპირულად ჩამდინარე წყლებს.

სამწუხაროდ, სუბალპური ტყეები სადღისაც ძლიერ არის დეგრადირებული ანთროპოგენული ფაქტორების (უსისტემო ჭრები, პირუტყვის მოუწესრიგებელი ძოვება და სხვა) ზემოქმედებით. კავკასიონისა თუ თრიალეთის ქედის ცალკეულ უბნებზე, მდინარეთა წყალშემკრები აუზების სათავეებში, დაუფიქრებელი მოქმედების გამო სუბალპურმა ტყემ 300-800 მეტრით ქვემოთ დაიწია. ამის შედეგად მთის ფერდობებზე საგრძნობლად გაძლიერდა ნიადაგის ეროზია და გაქტიურდა თოვლის ზვავები. ამრიგად სუბალპური ტყეების დაცვა და მათი აღდგენა ბუნებრივად შესაძლებელ საზღვრებში, მაღალმთიანეთში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის ბიოლოგიურად მდგრადი ეკოსისტემების ფორმირება გადაუდებელ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ.

კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტყეები, დასავლეთ საქართველოს ტყეებთან შედარებით, გარემოს ეკოლოგიური პირობების მიხედვით სრულიად სხვადასხვაგვარად ასრულებენ წყლის რეგულირების უაღრესად მნიშვნელოვან ფუნქციას. ასე, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს არასაკმაო დატენიანების პირობებში, არსებულ წყალშემკრებ აუზებში, სადაც ტყიანობა 70 პროცენტია და მაღალი სიხშირის კორომებით არის წარმოდგენილი, ზედაპირული ჩამონადენის რაუვადობის ამპლიტუდა 10-15-ჯერ მცირეა 30 პროცენტი ტყიანობისა და 0,3 სიხშირის კორომების მქონე წყალშემკრებ აუზებთან შედარებით.

სხვა მდგომარეობაა დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიან რაიონებში, აქ ნალექთა სიუხვის სისტემატურობის გამო, მაღალი ტყიანობის მქონე წყალშემკრებ აუზებსა (80-90 პროცენტი) და დაბალი ტყიანობის (10-35 პროცენტი) აუზებს შორის ჩამონადენის მოდულში მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღინიშნება. აქ უფრო ჩამონაყურის მატების ტენდენციებთან გვაქვს საქმე. მიზეზი ამ თავისებური მოვლენისა, როდესაც ტყე ვერ ასრულებს მისთვის დამახასიათებელ წყალმარეგულირებელ ფუნქციას, ანდა ეს ფუნქცია მნიშვნელოვნად არის დაქვეითებული, ერთი მხრივ, ატმოსფერული ნალექების სისტემატური ინტენსიურობით არის განპირობებული, ხოლო მეორე მხრივ, ტყის ნიადაგების არაკაპილარული ფორების წყლით ამოვსებით. ამის შედეგად რეგიონის ნიადაგებს მნიშვნელოვნად აქვთ დაკარგული მოსული უხვი ნალექების ქვედა ფენებში ჩაყონვის თვისება. ამის გამო, ცხადია, მთის ტყეებსა და მათ ნიადაგებს მხოლოდ გარკვეული ოდენობის ნალექის შეკავებისა და შთანთქმის უნარი აქვთ. სხვადასხვაგვარ მთის ტყეები განსაზღვრული ოდენობით წყალს ვერ შეაკავებენ და ვერც წყალმარეგულირებელ ფუნქციას შეასრულებენ.

დადგენილია, რომ, როცა მოსული უხვი ნალექების შედეგად ნიადაგები, მაქსიმალურად გაიჟღენთებიან წყლით, თვით ხელუხლებელ ტყეებშიც კი, მკვეთრად მატულობს ზედაპირული ჩამონადენი. ეს ფაქტი განსაკუთრებით იჩენს თავს გაზაფხულზე, თოვლის დნობისა და გაჭიანურებული, ინტენსიური წვიმების დროს. უახლესი ექსპერიმენტებითა და გამოკვლევებით დადგინდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ნაძვისა და სოჭის შერეულ კორომებში ზედაპირული ჩამონადენი აღინიშნება ჰუმუსოვანი ჰორიზონტის ქვეშ განუწყვეტელი და ამასთან მაღალი ინტენსიობით 400 მილიმეტრი დაწვიმების შემდეგ. დასავლეთ საქართველოს შესაბამის კორომებში ეს მაჩვენებელი ორჯერ და უფრო მეტად უარესდება. ზედაპირული ჩამონადენი იწყება 150-200 მილიმეტრი დაწვიმების შემდეგ.

სწორედ ამ ფაქტორთა თანდამთხვევამ გამოიწვია ის მძიმე მდგომარეობა, რაც მრისხანე სტიქიის გამო შეიქმნა დასავლეთ საქართველოს ბარში. როგორც რესპუბლიკის ჰიდრო-მეტცენტრის მონაცემები ცხადყოფს, აღნიშნულ პერიოდში დასავლეთ საქართველოს მთისწინეთში, ზღვის დონიდან 600 მეტრის სიმაღლემდე, განსაკუთრებით უხვი ზედაპირული ჩამონადენის ფორმირება გამოიწვია უეცარმა დათბობამ და თანდართულმა წვიმებმა. უფრო მაღლა კი ნალექი უმეტესწილად თოვლის სახით მოვიდა და არც მის დნობას ჰქონდა ინტენსიური ხასიათი. საყურადღებოა ის მნიშვნელოვანი გარემობაც, რომ დასავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან 500-600 მეტრის სიმაღლემდე არსებული ტერიტორიების ტყიანობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, ხოლო შემორჩენილი ტყის მასივების უმეტესობა. წარსულში არასწორი მეურნეობრიობის შედეგად, ნირშეცვლილია და არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ამიტომ მათი წყალმარეგულირებელი და სხვა ფუნქციები ერთობ დაქვეითებულია, რაც გარკვეულწილად გასაგებიცაა. აღნიშნული ზონა მჭიდროდ დასახლებულია, იქ მაღალინტენსიურად არის განვითარებული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვ. ასე რომ, ჩვენი მთის ტყეების უდიდეს ნაწილს ამ კონკრეტულ შემთხვევაში, წყალდიდობის ფორმირებაში, მნიშვნელოვანი როლი არ განეკუთვნება.

ცნობილია, რომ ტყის წყალდაცვითი და მარეგულირებელი როლი, უწინარესად იმით მეღავნდება, რომ იგი ხელს უწყობს მდინარეების, ტბების, წყაროების წყლით თანაბარ და ნორმალურ მომარაგებას, აფერხებს წყალდიდობებს, ღვარცოფებს, თოვლის ზვავებსა და სხვა მავნე სტიქიურ მოვლენებს, იცავს წყლის რესურსებს დანაგვიანება-გაბინძურებისაგან, უზრუნველყოფს წყლის ხარისხის ამაღლებას და დადებითად მოქმედებს მის ბაქტერიოლოგიურ თვისებებზე. ასევე, კონკრეტული გარემო პირობების შესაბამისად, ტყე, სახნავთან შედარებით, 5-25-ჯერ, ხოლო საძოვართან შედარებით — 20-70-ჯერ აჩქარებს ნიადაგის მიერ წყლის შეწოვის პროცესს. ამასთან არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ტყის გაჩეხვის შედეგად წყაროები, ნაკადულები და მცირე მდინარეებიც კი დამშრალან, ხოლო უფრო მოზრდილი მდინარეების წყლის რეჟიმი საგრძნობლად დარღვეულა და მათი წყალუხვობაც ძლიერ შემცირებულა.

მთის ტყეებისათვის განსაკუთრებით არის დამახასიათებელი ნიადაგდაცვითი ეკოლოგიური ფუნქცია. მრავალწლიანი სტაციონარული კვლევის მასალები ცხადყოფს, რომ დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიან პირობებში უტყეო ან დაბალი ტყიანობის მქონე მცირე წყალშემკრები აუზებიდან წლიურად ყოველი ჰექტარიდან საშუალოდ ირეცხება 167,5-147,6 ტონა ნიადაგი, მაღალი ტყიანობის მქონე აუზიდან კი 62,9-14,9 ტონა. აღმოსავლეთ საქართველოს შედარებით მშრალი, კონტინენტალური ჰავის პირობებში, დაბალი ტყიანობის მქონე მცირე წყალშემკრები აუზებიდან ყოველ ჰექტარზე საშუალოდ ირეცხება — 16,9-21,5 ტონა, ხოლო მაღალი ტყიანობის აუზებიდან — 0,28 ტონა ნიადაგი. ამატომაა, რომ აღნიშნული ფუნქციების შენარჩუნებისა და გაძლიერების ღონისძიებები ტყის მეურნეობის სისტემაში შედის როგორც მისი ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი.

ცნობილია, რომ წარსულში საქართველოს მთის ტყეებში, მრავალი ათეული წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა უნებურად-ამორჩევითი, ანუ სამრეწველო-ამორჩევითი ჭრა, რამაც ძალიან დააზარალა ტყეების ხარისხობრივი მაჩვენებლები და სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციები. ერთ ჰექტარ ტყის კორომში, ერთ ჯერზე, ჩვეულებრივ იჭრებოდა 300-400 კუბური მეტრი მაღალხარისხოვანი ხე-ტყე, მის ადგილას კი რჩებოდა საშეშე, ფაუტიანი და მდარე ღირსების მქონე ხეები, რამაც მკვეთრად გააუარესა მთის ტყეების საერთო მდგომარეობა და ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამ ჭრებისას მეჩხერდებოდა მაღალი სიხშირის ტყეები, კორომების სიხშირე უკეთეს შემთხვევაში 0,5-მდე, ხოლო დიდ ფართობებზე 0,3-0,4-მდეც კი მცირდებოდა, რის გამო, ამჟამად საქართველოს სსრ სახელმწიფო ტყის ფონდში 0,5 და უფრო დაბალი სიხშირის კორომებს მთელი ტყით დაფარული ფართობის 55,4 პროცენტი უკავიათ და მნიშვნელოვნადაც აქვთ დაქვეითებული მთის ტყეებისათვის დამახასიათებელი ეკოლოგიური ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო პარამეტრები. იმისათვის, რომ საქართველოს მთის ტყეებმა დამაკმაყოფილებლად შეასრულონ დაცვითი და სხვა სახარგებლო ფუნქციები, საჭიროა ტყის საერთო მარაგი იყოს 430-440 მილიონი კუბური მეტრი ამჟამინდელი 370-375-ის ნაცვლად.

ამიტომ ისეთ რეგიონებში (აჭარა, სამხრეთ ოსეთი, რაჭა, სვანეთი და სხვ.), სადაც გარემოს ეკოლოგიური წონასწორობა მნიშვნელოვნად არის დარღვეული, სულ ცოტა 10-15 წლის ვადით მაინც უნდა აიკრძალოს მერქნით მთავარი სარგებლობის ჭრა.

როგორც სამთო მეტყეველობის ინსტიტუტის მრავალწლიანი სტაციონალური კვლევებით არის დადგენილი, იმისათვის, რომ საქართველოს მთის ტყეებმა ოპტიმალურად შეასრულონ დაკისრებული ფუნქციები და უზრუნველყონ ბუნებაში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, ისინი ძირითადად ხშირი კორომებით უნდა იყოს წარმოდგენილი. ამიტომ, ქართულ მეტყეველ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მოქმედების მთავარი ორიენტირი უნდა იყოს ზრუნვა მთათა ფერდობებზე კორომთა სიხშირის ამაღლებისათვის, რაც, თავის მხრივ, მთის ტყეების პროდუქტიულობის ამაღლებასაც უზრუნველყოფს.

წყლის რესურსების რეგულირების, ნაპირსამაგრი და ქარდაცვითი ფუნქციების შესრულებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ აგრეთვე მდინარეთა პირას განლაგებული ტყის მასივები. ადრე ამ ფუნქციებს წარმატებით ასრულებდნენ ჭალის ტყეები, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ფართობები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად ტრანსფორმაციის გამო, თანდათანობით მნიშვნელოვნად შემცირდა. იქ, სადაც მდინარისპირა დაცვითი ტყის ზოლები ან ჭალის ტყეები გაჩეხილა ან განადგურდა, აუცილებელია, მინიმალურად მაინც, განხორციელდეს მათი აღდგენის ეფექტიანი ღონისძიებები.

სსრ კავშირის მთიანი რეგიონების მაგალითით (კარპატები, კავკასიონი) დადგენილია, რომ ტყის გაკაფვისა და, საერთოდ, არასწორი ექსპლოატაციის უარყოფითი შედეგები ტყის ეკოსისტემისათვის განსაკუთრებით თავს იჩენს ჭრების ჩატარებიდან 10-15 წლის შემდეგ, რადგან სწორედ ამ დროის განმავლობაში ხდება ტყის ნიადაგების ძირითადი ფიზიკური თვისებების მკვეთრი გაუარესება. ხელოვნურ ეკოსისტემებში მათი აღდგენისათვის კი საჭიროა დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი (100-150 წელი).

მთის ტყეების ექსპლოატაციისას ხე-ტყის გამოზიდვის მეტად მნიშვნელოვან საშუალებად მიგვაჩნია ვერტმფრენების გამოყენება. პირველი ცდები ამ მიმართებით ახმეტის სატყეო მეურნეობაში 1985-1987 წლებში განხორციელდა. შედეგები მთლიანად დამაკმაყოფილებელია. საჭიროა ამ მხრივ სამომავლოდ როგორც მეცნიერული, ისე საწარმოო ხასიათის სამუშაოების კიდევ უფრო გაფართოება.

1987 წლის წყალდიდობამ ბევრი ჩრდილოვანი მხარე წარმოაჩინა, ბევრი მოქმედი კრიტერიუმის ჭეშმარიტება დაუსვა კითხვის ნიშანი. უდავოა, რომ მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები, დამბების მშენებლობა, ტყის დაცვითი ზოლების გაშენება, კალაპოტის გაწმენდა, ინერტული მასალების მოპოვების რეგულირება და, საერთოდ, კომპლექსური სამუშაოების შესრულება ეკოლოგიურად გამართულ მიდგომასა და გაძლიერებულ ყურადღებას მოითხოვს. ახლებურად არის შესასწავლი მცირე მდინარეების სათავეებსა და, საერთოდ, მათს ხეობებში მიმდინარე ბუნებრივი პროცესები. ვინაიდან, საგრძნობლად შეიცვალა საერთოდ ეკოლოგიური სიტუაცია.

დაბოლოს: თუ ჩვენი ტყეების წყალმარეგულირებელი როლის ამაღლების პრობლემას უახლოესი (10-15 წელი) პერსპექტივისათვის განვიხილავთ, პრაგნოზი, სამწუხაროდ, მაინცდამაინც სასურველი არ არის. რესუბლიკის ტყეების სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციებისა და მათი პროდუქტიულობის ამაღლების ღრმად და ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე საჭიროა მეცნიერულად დასაბუთებული სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დროული და ხარისხიანი განხორციელება, ტყეების ზრდისა და განვითარებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა, მხოლოდ ამ გზით შეეძლებთ ტყეების, ჩვენი სიცოცხლის ნაწილის, პროდუქტიულობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებას, რესუბლიკის ტყეების დაცვითი და სხვა სასარგებლო ფუნქციების ეფექტიანობის გაზრდას. ეს კი ბუნებაში სტაბილური ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მყარი გარანტია იქნება.

გიორგი გიგაური,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
რევაზ ჩაგელიშვილი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

ახალი შრომა საბინაო კანონმდებლობაზე

პარტიისა და მთავრობის საპროგრამო დადგენილებათა შესაბამისად ჩვენი სახელმწიფო უაღრესად მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანის გადაწყვეტას შეუდგა. 2000 წლისათვის ყველა ოჯახი ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. ამისათვის, როგორც ცნობილია, აშენებულ უნდა იქნეს 35 მილიონზე მეტი ბინა და სახლი, მინიმუმ ორი მილიარდი კვადრატული მეტრი საერთო ფართის მოცულობით. მართალია ვითარება ბინების მშენებლობაში უმჯობესდება, მაგრამ იგი, როგორც არაერთხელ აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, მეტად დაძაბული რჩება. ხალხი წლობით ელოდება ბინას.

საბინაო პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო საკმარისი და კეთილმოწყობილი საბინაო ფონდის შექმნაზე, არამედ მის მართებულად, სოციალური სამართლიანობის საწყისებზე განაწილებასა, სარგებლობასა და მართვაზე. ეს კი შესაძლებელია საბინაო კანონმდებლობის სრულყოფისა და მისი სწორად გამოყენების პირობებში. ისეთ ვითარებაში, როცა არ არის აღმოფხვრილი საბინაო კანონმდებლობის შეგნებულად ან არაკომპეტენტურობის გამო დარღვევის შემთხვევები, როცა, არც თუ ისე იშვიათად, ირღვევა მოქალაქეთა საბინაო უფლებები, როცა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კარგად ვერ ერკვევა ბინის კონსტიტუციური უფლების შინაარსში და ზოგჯერ დაუსაბუთებელ პრეტენზიებსაც აყენებენ ამ მხრივ, დიდ მნიშვნელობას იძენს საბინაო კანონმდებლობის სწორი ახსნა-განმარტება, რომ გამორიცხულ იქნეს ყოველგვარი სუბიექტივიზმი, რაც კანონიერების დარღვევის საფუძველი შეიძლება გახდეს. ამ თვალსაზრისით მეტად სასარგებლო საქმე გაკეთდა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამინისტროს შეკვეთით, ქართულ და რუსულ ენებზე მასობრივი ტირაჟით გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, შალვა ჩიქვაშვილის წიგნი „საბინაო სამართალი“, (რედაქტორი — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ს. ჯორბენაძე). მასში გაანალიზებულია საბინაო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმატიული აქტების უმნიშვნელოვანესი მასივი, მათი შინაარსის ზუსტ განსაზღვრასთან ერთად ახსნილია ის წანამძღვრები, რომლებმაც ამა თუ იმ სპეციფიური ნორმის მიღება განაპირობა. წიგნში გათვალისწინებულია ახალი საბინაო კანონმდებლობის სპეციფიკა. როგორც ცნობილია, უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა საბინაო ურთიერთობათა საკანონმდებლო რეგლამენტაციის სფეროს გაფართოების ტენდენცია. თუ ადრე მსგავსი ურთიერთობები სამოქალაქო კანონმდებლობით, და ისიც არასრულყოფილად, რეგულირდებოდა, ამჟამად 1982 წლის იანვრიდან ცალკე მოქმედებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები. საბინაო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ასეთ ფართო ასორტიმენტს, ეროვნულ-ეროვნული ნორმატიული აქტების ერთ-ერთ

სიკეთისა და სიბრძნის დამამკვიდრებელი

ძნელია იმ ადამიანზე ლაპარაკი, რომელიც შენი არა მარტო მასწავლებელი, არამედ შემდეგ უახლოესი მეგობარიც იყო. ძნელია იმიტომაც, რომ გრიგოლ კიკნაძე არ იყო ორდინარული პიროვნება. თავისი ცხოვრების წესით, მეცნიერული და პედაგოგიური ინტერესებით იგი შრავალთაგან გამოირჩეოდა და ამის გამოც ზნეობრივად და ინტელექტუალურად მან დიდი გავლენა მოახდინა ჩემი თაობის ადამიანებზე.

გრიგოლ კიკნაძე არ ყოფილა აღქურვილი ყვირალა რეგალიებით, სიცოცხლეში არც მისი საიუბილეო თარიღები აღუნიშნავთ. გრიგოლ კიკნაძეს ასეთი რამ არ ღირსებია. არც თვითონ მიისწრაფოდა ამისაკენ. მას, უწინარეს ყოვლისა, საქმე აინტერესებდა და სწორედ „საქმემან მისმან გამოაჩინა“ იგი. გრიგოლ კიკნაძე —პედაგოგი ზნეობრივად და გონებრივად წვრთნიდა მის გარშემო მყოფ ახალგაზრდებს, უხვად უნაწილებდა სითბოსა და სიყვარულს. მეცნიერულად რომ გეშადა ახალგაზრდებს და უადვილებდა სამეცნიერო პრობლემებში გარკვევას, ამავე დროს მათ მიმართ იგი მკაცრიც იყო და უკომპრომისოც, მაგრამ ყოველთვის სამართლიანი. უკომპრომისო იყო იგი არა მარტო მეცნიერებაში, არამედ პირად ცხოვრებაშიც. პატიოსნება და პრინციპულობა გამოარჩევდა მას მრავალთაგან და ამასვე მოითხოვდა სხვებისგანაც.

ყველა მეცნიერის ცხოვრების გზა გარეგნულად თითქოს მსგავსია: დაიბადა ამა და ამ წელს, დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი, დაიცვა დისერტაცია, სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო ამა და ამ დროს და ა. შ. მაგრამ ამ ფაქტებს უკან დგანან ადამიანები, რომლებიც დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პიროვნული თვისებებით. გრიგოლ კიკნაძე კი ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული პიროვნებაა. მთელი მისი ცხოვრება იყო ბრძოლა მაღალი ზნეობრივი და მეცნიერული პრინციპების დამკვიდრებისათვის და ამ პრინციპებისთვის მას არასოდეს უღალატნია.

მოკლე წერილში შეუძლებელია პროფესორ გრიგოლ კიკნაძის მრავალმხრივი მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის დასაზოგადოებრივ საწყისებზე და სწორედ გრიგოლ კიკნაძის გასაოცარი ენერგიისა და ხელმძღვანელობის წყალობით კაბინეტის მუშაობაში ჩაება სხვადასხვა დარგის მრავალი სპეციალისტი. კვლევა-ძიება უმთავრესად ორი გზით წარიმართა: ვაჟას შემოქმედების შესწავლა ლიტერატურისმცოდნეობის თვალსაზრისით და ვაჟას ენის სიმფონიალექსიკონის, (ხიზბირის ლექსიკონისა და სხვათა შედგენა.

კაბინეტში გრიგოლ კიკნაძემ ჩამოაყალიბა ვაჟას მუდმივი სემინარი, სადაც სისტემატურად ისმენენ მოხსენებებს მწერლის შემოქმედების სხვადასხვა საკითხზე. შემდეგ ეს მოხსენებები იბეჭდება კაბინეტის შრომებში — „ვაჟას კრებული“, რომელიც აგრეთვე ბატონმა გრიგოლმა დააარსა. მისივე ინიციატივითა და ხელმძღვანელობით | კაბინეტში შეიქმნა ვაჟას სალექსიკონო ფონდი მილიონამდე ბარათის ოდენობით. კაბინეტში დაცულია ვაჟას ავტოგრაფთა ფოტოპირები, ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალები, მხატვართა მიერ შემოწირული სურათები და სხვ.

თავისი არსებობის 12 წლის მანძილზე, როდესაც კაბინეტს პროფ. გრიგოლ კიკნაძე ედგა სათავეში, კაბინეტში მომზადდა 8 დასახელების წიგნი, რა თქმა უნდა, ბატონი გრიგოლის ხელმძღვანელობითა და რედაქციით.

გრ. კიკნაძისავე შემუშავებული გეგმის შესაბამისად, კაბინეტი იმთავითვე კონსულტაციებს უწევდა სტუდენტებსა და ვაჟას შემოქმედებით დაინტერესებულ ყველა პირს.

გრ. კიკნაძემ საფუძველი ჩაუყარა ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ მოძრავ გამოფენებსა და ლექციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

თხუთმეტი წლის წინათ გარდაიცვალა პროფესორი გრიგოლ კიკნაძე, მაგრამ ვაჟა-ფშაველას კაბინეტში კვლავ ცოცხლობს მის მიერ დანერგული ტრადიციები, კაბინეტი ახლაც ძირითადად მუშაობს ბატონი გრიგოლის მიერ დასახული გეგმის მიხედვით, რომელშიც კვლევის სამომავლო პრობლემებიც უხვად იყო გათვალისწინებული.

ჯუმბერ ჯუმბურიძე,
პროფესორი, თსუ ვაჟა-ფშაველას კაბინეტის მეცნიერ-ხელმძღვანელი.

პროფესორ გრიგოლ კიკნაძის დაბადების 80 წლისთავი

▼▼

ხასიათება. მხოლოდ დავასახელებთ მის მონოგრაფიულ გამოკვლევებს, რომლებიც ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობის შენაძენია: „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“ (1953 წ., მეორე გამოცემა — 1972 წ.), „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, 1957 წ., (ჩვენ ეს წელს მიიღეს ამ წიგნის მეორე გამოცემას), „მეტყველების სტილის საკითხები“ (1957 წ.), „ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (1978 წ.). გრიგოლ კიკნაძის, ვითარცა ქართული ლიტერატურის მკვლევარის, ინტერესები ჩვენი მწერლობის თითქმის ყველა პერიოდს მოიცავდა, განსაკუთრებით კი XIX ს. კლასიკოსების შემოქმედრეობა იყო მისი ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა და ანალიზის საგანი (ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, დ. კლდიაშვილი), მაგრამ არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ვაჟა-ფშაველა მისთვის მაინც გამორჩეული ხელოვანი იყო, რომლის შემოქმედების ტენდენციების, მსოფლმხედველობის, მხატვრული მეთოდის, სტილისა და ენის საკითხების გარკვევას მან მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა. ამიტომ, ბუნებრივია, გრიგოლ კიკნაძე იმაზეც ოცნებობდა, რომ შექმნილიყო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, სადაც მოხერხდებოდა გენიალური ქართველი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალმხრივი, კომპლექსური შესწავლა. მართლაც, 1962 წელს გრიგოლ კიკნაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, მაშინდელი რექტორის აკადემიკოს ევგენი ხარაძის მხარდაჭერით, უნივერსიტეტში დაარსდა ვაჟა-ფშაველას კაბინეტი.

გრიგოლ კიკნაძემ კაბინეტს იმთავითვე ფართო სამუშაო გეგმა დაუსახა და ამიტომ მოხერხდა, რომ ეს კაბინეტი არ დარჩენილიყო ვაჟას უბრალოდ მემორიალად, არამედ მას სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულების ხასიათი მიეღო. ამ კაბინეტის დაარსება მიზნად ისახავდა ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობის ყოველმხრივ შესწავლას. იგი ჩამოყალიბდა ძირითადად

სამშობლო, დედის ძუძუი...

ვინ არ უყვარს სამშობლო? ჩიტი რომ ჩიტია, იმასაც თავისი სამშობლო აქვს. ეს ის ადგილია, სადაც ბუდეს აგებს, ბარტყებს ჩეკს და აფრთიანებს. ჩვენი ხალხის საყვარელი ფრინველი — კუდმაკრატელა მერცხალი ზამთარს თბილ ქვეყნებში ატარებს. ამ მშვენიერი ჩიტის გამოსაზამთრებელი ადგილი აფრიკის სამხრეთია. იქაურ გაშლილ ტყეებში — სავანებში ეს ჩიტები წყვილ-წყვილად როდი ცხოვრობენ, გუნდებად არიან შეერთებულები და, წარმოიდგინეთ, არც ჭიკჭიკებენ, მხოლოდ ჭიაღუას შეექცევიან და ტროპიკებისა და სუბტროპიკების თბილი მზით ნებივრობენ. საკმაოდ სუსხიანი ზამთრის შემდეგ საქართველოში თანდათანობით ახლოვდება ყვავილებით მოხატული, სურნელოვანი გაზაფხული. საოცარია, მაგრამ ფაქტია: ამ შორეულ სამხრეთ აფრიკაში მერცხლებს სულ უფრო მეტი მოუსვენრობა იპყრობთ — გრძნობენ გაზაფხულის მოახლოებას, ესე იგი სამშობლოსკენ გამგზავრების ჟამის დადგომას. ნეტავ, როგორ იტყობენ ამას პატარა მერცხლები? სამხრეთ აფრიკაში ხომ მარადიული ზაფხულია. ეს მართლაც, განსაცვიფრებელი საკითხია, რომლის ამოხსნა არც ისე დიდი ხნის წინათ შეძლეს მეცნიერებმა. გაზაფხულისთვის ჩიტის სისხლში გამოიყოფა ისეთი ჰორმონები, რომლებიც შეუცდომლად კარნახობენ ფრინველს შორეული მოგზაურობის დროს. ეს დროც დგება. ფრინველები ჟღურტულ-ჟღურტულით მოეშურებიან სამშობლოსაკენ. მაგრამ არანაკლებ გასაკვირია, თუ როგორ ახერხებენ მერცხლები სამხრეთ აფრიკიდან საქართველოში ჩამოფრენას, თანაც არა მხოლოდ საქართველოს მოგზებას, არამედ ზუსტად იმავე სოფელში და სოფლის იმავე ადამიანის საცხოვრებელში დაბრუნებას, სადაც წინა წელს გამოიჩეკნენ. კაცი რომ დაფიქრდეს, ეს ჩიტისთვის კი არა, თანამედროვე აპარატებით აღჭურვილი თვითმფრინავებისთვისაც არაა იოლი.

სამე ის არის, რომ ათასობით კილომეტრ გზაზე, რომლის გადალახვა უხდება „პაწაწინა გაბედულ ჩიტ-მოგზაურს, უამრავი დაბრკოლებაა: გავარვარებული უდაბნოები, უკიდეგანო ზღვები, თვალშეუწვდენელი მთები, ქარიშხალი, სიცივე, სიცხე, უწყლობა, შიმშილი... მაგრამ რაკიღა ერთხელ სამშობლოსკენ ქნა პირი, კუდმაკრატელა ჩიტს ვერავითარი წინააღმდეგობა ვერაფერ შეაშინებს. როგორ გგონიათ, არ უშიშარ? ბევრი იზოგება კიდეც, მაგრამ იმდენი ფრინველი მაინც გადარჩება, გვარის გაგრძელება რომ შეძლოს. ჩამოფრინდება მერცხალი და ჩვენც, ადამიანებსაც, თითქოს უფრო მეტი ხალისი, ძალა, ენერგია გვემატება. ფრინველიც თითქოს გრძნობს მისდამი ადამიანის გულთბილ დამოკიდებულებას, ბუდეს სახლებზე იკეთებს და ჭიკჭიკით ახალისებს კაცის ცხოვრებას.

• • •

სამშობლოს თავგამოდებული სიყვარული მხოლოდ ფრინველებმა როდი იციან, თუმცა არც თევზები და სხვა ცხოველებია გამონაკლისი. მაგალითად, ორაგულს გასამრავლებელი ადგილები მთის ანკარა, ყანგბადით მდიდარი გიერეი მდინარეებია. ქვირითის დასაყრელად ეს ლამაზი თევზი მდინარეთა სათავეებში ზღვიდან მოცურავს. საქართველოში ორაგულის ერთ-ერთი. ასეთი საქვირითე ადგილი აჭარაში მდინარე კინტრიშის სათავეებია. მე იქ ფოტოაპარატი გადამიღია ხუთი-ექვსი ყილოგრამიანი, წყალს ალმა აყოლილი, წითელი ხალებით შემკული ეს თევზი. რამდენჯერ ჩავფიქრებულვარ: რა არის ის ზებუნებრივი ძალა, რომელიც ამ არსებას ზღვიდან მთის იმ მდინარეებში მიიყვანს, სადაც ქვირითიდან გამოიჩეკა? ორაგული ზღვების გაღლით, ხშირად რამდენიმე ათასი კილომეტრის გადალახვით არა მარტო იმ მდინარეს მოძებნის, საიდანაც ლიფსიტის სახით ზღვის ტალღებს მისცა თავი, არამედ დიდი მდინარიდან აგნებს „საკუთარ“ პატარა მდინარეს, აქედან კი იმ მშობლიურ ღელე-ნაკადულს, სადაც ოდესღაც თვითონ იხილა დღის სინათლე. ნამგზავრი, ღელის ან ნაკადულის ფსკერზე ჩაღრმავდება. აქ, ჰაერით მდიდარ და მტრის თვალისაგან კარგად დაცულ ადგილას ქვირითს ჰყრის ახალი თაობის გამოსაჩეკად.

...მანამდე კი ორაგულს არნახული ჯაფა და წვალება ატყდება თავს. დაღლილა და ქანცგალეულს მთის ბობოქარი მდინარე თავითა და ტანით იმდენჯერ ანარცხებს ქვებსა და ღოდებს, რომ დასისხლიანებული, ნაჭდევებით დაფარული, ხშირად იღუბება, ანდა მტაცებლის თუ მეთევზის მსხვერპლი ხდება. ერთობ მოკლე, სულ ხუთიოდე წელია ორაგულის წუთისოფელი, ამასთან რთული და უამრავი ფათერაკით აღსავსე. მაგრამ თავის გასაწირად მას ერთი მიზანი — მშობლიური ადგილისაკენ სწრაფვა და გვარის გაგრძელების შეუცვლელი გრძნობა ამოძრავებს.

...ჩიტის, თევზის თუ სხვა ცხოველთა სიყვარული მშობლიური კუთხისა ინსტინქტურია — ასეულობით თაობაში დაპროგრამებული, უხილავი ძალით ნაკარნახევი. ადამიანისა — პირიქით, შეგნებული, აზრით, გონებით განპირობებული.

არნოლდ გეგეჭკორი.
ავტორის ფოტო.

ᲕᲝᲚᲝᲜᲓᲘᲜᲘᲡ ქალაქ ლაზგოში, ცნობილი სამეფო თეატრის სცენაზე გაიმართა ი. სტრავინსკის ბალეტის „პეტრუშკას“ პრემიერა. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ამ ბალეტის პარტიტურა დაუძლეველ მწვერვალად დარჩა გამორჩენილი კომპოზიტორის შემოქმედებაში. თვითონ სტრავინსკი „პეტრუშკას“ ყველაზე უფრო ადამიანურ ნაწარმოებად თვლდა.

„პეტრუშკას“ შოტლანდიური ინტერპრეტაცია განახორციელა საბჭოთა დამდგმელმა ჯგუფმა: ქორეოგრაფი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. ვინოგრადოვი, მხატვარი — ვ. ოკუნევი, დირიჟორი — ვ. მაჭავარიანი. დადგმაში მონაწილეობდნენ შოტლანდიის ეროვნული ბალეტი და გლაზგოს ოპერის თეატრის ორკესტრი.

„პეტრუშკა“ დიდ ბრიტანეთში...

სპექტაკლს არნახული წარმატება ხვდა. მას დიდი ყურადღება დაუთმეს ტელევიზიამ, რადიოსადგურმა ბი-ბი-სიმ, გაზეთებმა.

სულ ხუთი წარმოდგენა გაიმართა სრული ანშლაგით. როგორც დიდი ბრიტანეთის გაზეთები წერდნენ, ო. ვინოგრადოვის ძალზე თანამედროვე და ხატოვანმა ქორეოგრაფიამ, რომელიც მშვენივრად იყო შერწყმული მხატვარ ვ. ოკუნევის დიდებულ სცენოგრაფიასთან, მაყურებლისა და სპეციალისტების აღტაცება გამოიწვია. განსაკუთრებით სასიხარულოა ჩვენი თანამემამულის ვ. მაჭავარიანის დამსახურებული წარმატება ესოდენ პრესტიჟულ თეატრში. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართველი დირიჟორი მიიწვიეს საოპერო და საბალეტო სპექტაკლების მომავალ დადგმებში და შოტლანდიის ბი-ბი-სის ორკესტრში სადირიჟოროდ...

ამ საპრემიერო ბლოკში, პირველ მოქმედებაში სრულდებოდა „ოიდიპოს მეფე“, რომლის დამდგმელი დირიჟორია აღიარებული მაესტრო გრეიმ ჯენკინსი, სცენოგრაფია და რეჟისურა ეკუთვნის ლაზარისს.

დავით მაჭავარიანი.
(„კომუნისტის“ კორ.).
ქ. მოსკოვი.

კულტურა და ხელოვნება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა ახმეტისა და ბორჯომის რაიონების საკლუბო დაწესებულებათა საქმიანობა მხატვრული თვითმოქმედების მასობრიობის, ხალხური შემოქმედების განვითარების, მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების თვალსაზრისით და არასაკმარისად მიჩნია ამ მხრივ გაწეული მუშაობა, რაც ძნიშვნელოვანწილად განპირობებულია კადრებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობით.

ახმეტის რაიონის 31 ამგვარი დაწესებულებიდან თითქმის მესამედს არ გააჩნია მაყურებელთა დარბაზი, ნახევარზე მეტს კი ოთახები წრეობრივი მუშაობისათვის. ბორჯომის რაიონის 34 საკლუბო დაწესებულებიდან 10 შენობა ავარიულია, წლების მანძილზე არ ფუნქციონირებს და ბაკურიანის კულტურის სახლი, კაბალურ შეკეთებას მოითხოვს 6 საკლუბო დაწესებულება. სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოყოფილ 595 ათასი მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 170 ათასი. უკიდურესად მწვავეა კლუბების ტექნიკური საშუალებებით, ავეჯითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვის მდგომარეობა.

ახმეტის რაიონის საკლუბო დაწესებულებათა მუშაკებიდან 10 საშუალო ზოგადი განათლებითაა, ბორჯომის რაიონის 44 მუშაკიდან — 23 საშუალო ზოგადი, ხოლო 3 არასრული საშუალო განათლებით. კულტურის განყოფილებები სათანადოდ ვერ იყენებენ კადრებს, რომლებიც ადგილზე ჰყავთ ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტთა სახით.

ორივე რაიონის მეტწილ კლუბებში ჩამოყალიბებულია მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, ხოლო სარაიონო კულტურის სახლებთან არსებული კოლექტივები იშვიათად თუ გადიან სოფლებში კონცერტებით ადგილებზე ცუდი მატერიალური ბაზისა და გასვლების წამგებიანობის მიზეზით.

შარშან, მთელი 8 თვის განმავლობაში ბორჯომის სარაიონო კულტურის სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტალმა ანსამბლმა („რელიეფი“) 54 კონცერტიდან მხოლოდ 18 გამართა სოფლად, სარაიონო კულტურის სახლის გუნდი კი ერთხელაც არ სწევევია სოფელს. ახმეტის მოსახლეობას მხოლოდ ერთხელ ეწვია სარაიონო კულტურის სახლის აგიტბრიგადა და ა. შ.

კოლეგიის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა ორივე რაიონის კულტურის სახლების (რეგიონალური მეთოდური ცენტრების) ზერელე დამოკიდებულება სასოფლო ობიექტებისადმი. მეტიც, საერთოდ არ იცნობენ კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის მიერ შეძენილ და ადგილებზე დაგზავნილ თეატრალურ თუ მუსიკალურ რეპერტუარს, ახალ მეთოდურ ლიტერატურას.

ნაკლოვანებებს გარდა, რომლებიც ახასიათებს რესპუბლიკის თითქმის ყველა საკლუბო დაწესებულებას, კოლეგიამ მკაცრად იმსჯელა იმ გამოუყენებელი რეზერვების თაობაზე, რომლებიც გააჩნიათ ამ რაიონებს: ახმეტისას — ხალხური ფოლკლორისა და რეწვის, ხოლო ბორჯომისას — ტრადიციული კულტურის კერების სახით. ახმეტის რაიონში ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ და

დღესვე და... სამომავლოდ

არ ზრუნავენ რეგიონში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ხალხური რეწვის ოსტატთა აღრიცხვისა და მოზიდვისათვის. არადა, ამ ოსტატებმა თავად გამოთქვეს სურვილი ითანამშრომლონ კლუბებთან და მომავალი თაობებს გადასცენ უნიკალური ხალხური რეწვის საიდუმლოებანი.

ვერ ასრულებენ კულტურის ცენტრის როლს საკლუბო დაწესებულებები საკავშირო მნიშვნელობის ისეთ საკურორტო ზონაში, როგორიცაა ბორჯომის რაიონი, სადაც ყოველწლიურად ჩამოდიან დამსვენებლები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან; არ არის მჭიდრო კონტაქტები კომპოზიტორთა დასასვენებელ სახლთან.

მიუხედავად ამისა, არის პირობები, რომ უახლოეს მომავალში აღმოიფხვრას ეს ნაკლოვანებები.

ახმეტის სარაიონო კულტურის სახლში დაინერგა სიახლე — ჩამოყალიბდა სამშენებლო კომპლექსური ბრიგადა, რომელიც თვითანაზღაურების პრინციპით მუშაობს და სარემონტო-გასაფორმებელ სამუშაოებს ასრულებს.

**საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიამ, ახმეტის და ბორჯომის რაიონების საკლუბო დაწესებულებათა სამეთოდო ცენტრების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, ასევე ქალაქ ბორჯომის ფოლკლორული ანსამბლის „ანაკლიის“ ხელმძღვანელობით, ასევე ბ-ნ ალ. ბაბაიანის, ბ-ნ ალ. ბაბაიანის, ბ-ნ ალ. ბაბაიანის,